# ალია

რეკლამა
„ალიაში“:
5 77 444 442

N171/3101/ 20 ნოემბერი 2014 წ · ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა · სამშაბათი ალია · ოთხშაბათი ალია · ხუთშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## აი, ასეთი ხალხის ფასად შეინარჩუნა უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“

### რა დანაშაულებებში იმხილებიან „ოცნებაში“ გადასული „ნაციონალები“




## რა გაყალბებული დოკუმენტი აღმოაჩინეს თბილისის საკრებულოში?



## რატომ ასაიდუმლოებს განათლების სამინისტრო ახალ სქემას?



## რა აქვს სატრაბახო ღარიბაშვილს?

### მიზეზები რის გამოც უმუშევრობა იზრდება



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## რუსთაველის გამზირზე ავტომანქანა ბოძს შეეჯახა




რუსთაველის გამზირზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა.

თვითმხილველის ცნობით, BMW-ს მარკის ავტომობილი ბოძს შეეჯახა. მძღოლმა სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ან უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

## „ძალიან ბევრ საქმეზე, ძალიან ბევრს პასუხები ექნება გასაცემი"



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებით, ძალიან ბევრ საქმეზე, ძალიან ბევრს პასუხები ექნება გასაცემი. მისი განმარტებით, მასალები, რომელიც დღეს ნდობის ჯგუფმა განიხილა, არა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, არამედ მათზე „სერიოზული საკითხები უნდა იყოს წამოწეული".

„ჩვენ დღეს განვიხილეთ მასალები, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა უწყების მიერ 2010, 2011, 2012 და 2013 წლებში განხორციელებულ ფინანსურ საქმიანობას. ბუნებრივია, ვიმსჯელეთ მასალებზე მხოლოდ ნაწილობრივ, ის, რაც ხდებოდა და რაც ვნახეთ, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმე კი არ არის, არამედ სერიოზული საკითხები უნდა იყოს მათზე წამოწეული. ძალიან ბევრს ძალიან ბევრ საქმეზე ექნება პასუხები გასაცემი", – განაცხადა დავით საგანელიძემ.

მისი შეფასებით, ხშირ შემთხვევაში, ნდობის ჯგუფის წევრებს კითხვები აქვთ იმასთან დაკავშირებითაც, რატომ დაედო ამა თუ იმ მასალას გრიფი „საიდუმლო".

„არის თემები, რომელთა მიმართებაშიც არ მესმის, რატომ ადევს გრიფი „საიდუმლო". როგორც ჩანს, მოდაში იყო და ბევრს სჭირდებოდა, რომ ბევრ თემას საიდუმლო გრიფი ჰქონოდა, არა მარტო თავდაცვის სამინისტროს საქმესთან დაკავშირებულ მასალაზე, არამედ მომავალში კიდევ ბევრ საკითხთან მიმართებაში დაისმება მოთხოვნა, რომ მოხდეს გასაჯაროება, რათა საზოგადოებას ჰქონდეს მეტი ინფორმაცია და პროცესი იყოს გამჭვირვალე", – აღნიშნა საგანელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## მობილურის ქურდობაში ბრალდებული ჯარისკაცი გაათავისუფლეს



მობილური ტელეფონის ქურდობასა და სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებაში ბრალდებული თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

ადვოკატის თქმით, იმ პერიოდისათვის, როდესაც ის საქმეში ჩაერთო, თ.ს.-ს შეფარდებული ჰქონდა წინასწარი პატიმრობა და შესაბამისად, ციხეში იმყოფებოდა.

საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ თ.ს. ადრე არასოდეს ყოფილა ნასამართლევი, ასევე ბრალდებული აღიარებდა და ინანიებდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. პროკურატურამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ განაჩენი უცვლელი დატოვა. (news.ge)

## „მიხეილ მესხზე" მიხეილ მესხის ქანდაკება გაიხსნა



„ოქროს ბიჭების" გამარჯვების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „მიხეილ მესხის" სტადიონზე ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის ქანდაკება გაიხსნა. ქანდაკების ავტორი გოგი შხვაცაბაიაა, რომელმაც სფფ-ის მიერ რამდენიმე წლის წინათ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. ქანდაკების შექმნისა და დადგმის ინიციატორი და განმახორციელებელი კი ფეხბურთის ფედერაციაა. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ქალაქის მერიამ და საკრებულომ.

ძეგლი უშუალოდ გახსნეს 1964 წლის 18 ნოემბრის თბილისის „დინამოს" ვეტერანმა ვარსკვლავებმა, „ოქროს ბიჭებმა" – ილია დათუნაშვილმა, გიორგი სიჭინავამ და ვლადიმერ ბარქაიამ. (news.ge)



## ვაჟა-ფშაველას გამზირზე ქალს მანქანა დაეჯახა

თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტრო „დელისთან", ქალბატონს, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა, მანქანა დაეჯახა.

შსს-ს განცხადებით, „გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით. ქალბატონს სერიოზული დაზიანება არ აქვს, გადაყვანილია საავადმყოფოში. საქმე გახსნილია, მძღოლი არ მიმალულა. მიმდინარეობს გამოძიება", – განაცხადეს შსს-ში. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ოქროს უკანონოდ შემოტანის ფაქტზე რუსეთის მოქალაქეები დააკავეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, კონტრაბანდის ფაქტზე, რუსეთის ორი მოქალაქე, რაშიდ და მაგომედ ციჩოევები დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის" გავლით, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანეს ერთ კილოგრამზე მეტი ოქრო, რომლის ღირებულება 80 000 ლარს აღემატება.

დაკავებულებმა, ქვეყნის ტერიტორიაზე კონტრაბანდული პროდუქციის შენიღბულად შემოტანის მიზნით, ძვირფას ლითონს მისცეს ქამრის ბალთის ფორმა და დაიმაგრეს შარვალზე.

დანაშაულებრივ ფაქტზე საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის I ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 5-დან 7 წლამდე. (ნიუპოსტი)

## თავდაცვის მინისტრმა ანწუხელიძის ოჯახს მიუსამძიმრა



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლილი ანწუხელიძის ოჯახს მიუსამძიმრა. მინდია ჯანელიძე ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში კახეთის მხარის გუბერნატორთან, ირაკლი შიოლაშვილთან ერთად იმყოფებოდა. მინისტრმა ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის დედის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა და მისი ოჯახის წევრებს მხარდაჭერა აღუთქვა.

ლილი ანწუხელიძე 59 წლის ასაკში გულის ინფარქტით გარდაიცვალა. მას ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში შაბათს დაკრძალავენ. გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებს სრულად დაფარავს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. (kvira.ge)

## ხუდონჰესის მიერ გამომუშავებული ენერგია მხოლოდ საქართველოს მოხმარდება



ხუდონჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შესაძლოა, საქართველოში დარჩეს და ექსპორტზე არ გავიდეს. „ტრანს-ელექტრიკის" ტექნიკური ხელმძღვანელის, დავით მირცხულავას ვარაუდით, საბოლოო ხელშეკრულებას ხელი მიმდინარე თვის ბოლოს მოეწერება, სვანეთში ჰესის მშენებლობა კი 2015 წლის შემოდგომაზე უნდა დაიწყოს. მანამდე კომპანია სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებულ ინიციატივებს სწავლობს. (ფრონტნიუსი)

## ქარელში სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს



ქარელში სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს. უცნობია, რა ოდენობის თანხა წაიღეს აპარატიდან. ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა გამოძიება დაიწყეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

## ახალი საუნივერსიტეტო კლინიკა აშენდება

ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე თურქული ინვესტიციით საუნივერსიტეტო კლინიკა აშენდება. 120 პაციენტზე გათვლილ კლინიკაში სულ 70 პაციენტის ოთახი მოეწყობა. შენობაში ბაჰჩეშეჰირის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი განთავსდება. უნივერსიტეტი აკრედიტაციას მომავალ წელს მიიღებს და სტუდენტების მიღებას შეძლებს.

თავდაპირველად უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტი იქნება. წარჩინებულ სტუდენტებს საუნივერსიტეტო კლინიკაში დასაქმების საშუალება ექნებათ.

შპს „ბროტჰერს"-ის ხელმძღვანელ თუგრუ თოქმანის განცხადებით, მშენებლობის დასრულების შემდეგ მინიმუმ, 300 ადამიანი დასაქმდება.

კომპანია აღნიშნულ პროექტში დაახლოებით 20 მლნ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. (ფრონტნიუსი)

## „ამ ხელისუფლების ცოცხი და ხელკეტი სხვანაირად ხვდებათ პატიმრებს?"



„ლეიბორისტული" პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა, სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში პატიმრებზე განხორციელებულ ზეწოლის ფაქტს ეხმაურება. გუგავას თქმით, იმ შემთხვევაში, თუ სახალხო დამცველის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პატიმრების წამებასთან დაკავშირებით სიმართლეს შეესაბამება, უნდა დადგეს სასჯელაღსრულების სამინისტროს მაღალჩინოსანთა, ასევე, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი.

„მე არ მაქვს საფუძველი იმისა, რომ ეჭვი შევიტანო სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. თუ ამ დანაშაულს სისტემური ხასიათი აქვს, აუცილებლად უნდა დადგეს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი. ეს ხელისუფლება სწორედ ციხეებში პატიმრების წამების კადრებით მოვიდა და რა გინდათ მითხრათ, რომ ამ ხელისუფლების ცოცხი და ხელკეტი სხვანაირად ხვდებათ პატიმრებს? მე არ ვსაუბრობ მხოლოდ სასჯელაღსრულების მინისტრის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე. ასეთი რაღაცები ციხეებში ციხის თანამშრომლების მიერ თვითნებურად არ ხდება. იმ შემთხვევაში თუ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში არ დაისჯებიან ადამიანთა წამებაში მხილებული პირები, ან არ დადგება ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, მაშინ შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ შერჩევით სამართალთან გვაქვს საქმე". – განაცხადა გუგავამ. (პირველი რადიო)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რა გაყალბებული დოკუმენტი აღმოაჩინეს თბილისის საკრებულოში?



დედაქალაქის საკრებულოს „ნაციონალი" დეპუტატები თბილისის 2015 წლის ბიუჯეტში არსებულ ხარვეზებსა და გაყალბებებზე საუბრობენ. „თბილისის 2015 ბიუჯეტში, ციფრები, მიმდინარე წლის გეგმასთან მიმართებაში მითითებულია არასწორად, ანუ დამტკიცებულ ბიუჯეტში არსებული ციფრები არასწორად არის გადატანილი მომავალი წლის ბიუჯეტში. ამით ნათელი ხდება, რა დამოკიდებულება აქვს ბიუჯეტთან მიმართებაში უმრავლესობას, რა უპასუხისმგებლოდ უდგებიან ბიუჯეტის შედგენას. ამით უნდათ, რომ საკუთარი მიღწევები უფრო თვალსაჩინო გახადონ, რაც ასევე პრობლემაა, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რაც ამ ბიუჯეტს სჭირს".

**„ალიას" თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — განახლებული თბილისის" თავმჯდომარე, თამაზ შოშიაშვილი ესაუბრა:**

– წარმოდგენილ პროექტში საკმაოდ ბევრი ხარვეზია, გარდა იმისა, რომ არ არის შენარჩუნებული სოციალური პროექტები, რომლებისგანაც სარგებელს იღებდნენ თბილისელები, არ არის ჩადებული არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი წლის განმავლობაში. საუბარია, არამხოლოდ გზების შეკეთებაზე, განახევრებულია ვაუჩერები 344 ათასი ოჯახისთვის, ანუ 2015 წლიდან მათ ქვითარზე დაერიცხებათ არა 20, არამედ 10 ლარი...

2015 წლის ბიუჯეტი, ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც დგას დედაქალაქის წინაშე, როგორც ჩანს, ბატონ ნარმანიას, არაადეკვატურად აქვთ აღქმული თბილისელების პრობლემა, არც ერთი პანდუსი, არც ერთი ხიდი არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში იმისთვის, რომ საცობებისგან განიტვირთოს ქალაქი, სოციალურად დაუცველ ოჯახს რომ ბავშვი შეეძინება, მათთვის ერთჯერადად გადასაცემი თანხის გაზრდას მივესალმებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ 344 ათას ოჯახს ზამთარში გათბობის საშუალება მოუსპო.

არსებულ ბიუჯეტთან მიმართებაში არის ძალიან ბევრი შეუთავსებლობა, 2015 წლის და 2014 წლის ბიუჯეტებში, სადაც ანალიზია, ციფრები არის შეცვლილი. იგივე სახელფასო ფონდთან დაკავშირებით, შრომის ანაზღაურების ფონდთან დაკავშირებით, ძალიან არის გაზრდილი „საქონელი და მომსახურების" მუხლი, რაც ნიშნავს, რომ მერია ძალიან არის გადაყოლილი საკუთარ ფუფუნებას, 25 მილიონამდე აქვს გაზრდილი შესაბამისი მუხლი. ის ციფრები რაც არის მითითებული 2015 წლის ბიუჯეტში, არ შეესაბამება 2014 წლის ბიუჯეტს.

**„ალიას" საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — თბილისის" თავმჯდომარე ირაკლი აბესაძეც ესაუბრა:**

– ბიუჯეტში ციფრები, მიმდინარე წლის გეგმასთან მიმართებაში მითითებულია არასწორად, ანუ დამტკიცებულ ბიუჯეტში არსებული ციფრები არასწორად არის გადატანილი მომავალი წლის ბიუჯეტში. ამით ნათელი ხდება, რა დამოკიდებულება აქვთ ბიუჯეტთან მიმართებაში. ამით უნდათ, რომ საკუთარი მიღწევები უფრო თვალსაჩინო გახადონ, რაც ასევ პრობლემაა, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რაც ამ ბიუჯეტს სჭირს. ეს არის ბიუჯეტი, რომელიც არც ერთ პრიორიტეტს, მათ შორის არც სოციალურს, რომელსაც მათ მიღწევად ასაღებენ, არ აკმაყოფილებს, არ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნებს.

ეს ბიუჯეტი საერთოდ არ ვარგა და ამ ბიუჯეტი მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ მომავალ წელს, განვითარება საერთოდ არ მოხდება. ნარმანია შეეცდება, შეინარჩუნოს სტატუს კვო, მაგრამ რეალურად მდგომარეობა გაუარესდება, როგორც სატრანსპორტო, ასევე ადამიანების სოციალური თვალსაზრისით და ავარიული კორპუსების მიმართულებით.

ახალ ავტობუსებზე რომ იყო საუბარი, სატრანსპორტო სფეროში, ჩვენ მხოლოდ არაკომფორტული ავტობუსების საკითხი დაგვრჩა მოსაგვარებელი, მაგრამ დავით ნარმანია, მომავალი წლის ბიუჯეტიდან არც ერთი ახალი ავტობუსის შეძენას არ აპირებს. ეს ბიუჯეტი არაფერს არ მისცემს თბილისელებს, გარდა ერთჯერადი დახმარებისა, რომელიც მხოლოდ ერთჯერადად მოუგვარებთ პრობლემებს.

**— თუ ასეთი უვარგისია ეს ბიუჯეტი, რატომ დაგეგმეს ასეთნაირად, სალაპარაკოდ რატომ აქციეს?**

– ამაზე მეც ხშირად მიფიქრია, ამომეხსნა მერის საქციელი, რომლისთვისაც პირველი საბიუჯეტო წელია, რომელსაც თვითონ გეგმავს, რატომ არ აღმოაჩნდა მეტი ამბიცია, ქალაქის განვითარებისთვის. 98 მილიონი რჩებათ დაუხარჯავი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ 98 მილიონის ღირებულების საქმე დარჩათ გაუკეთებელი თბილისში. როგორც ჩანს, ამათ არ უნდათ საქმის კეთება, ან არ იციან, აი, ამიტომაა ასეთი ბიუჯეტი დაგეგმილი.

ჩვენ მათ ძალიან ბევრი რამ შევთავაზეთ, უფასო მგზავრობა პენსიონერებისთვის, სტუდენტებისთვის, ასევე პოლიტპატიმრებისთვის, პენსიონრებისთვის 10-ლარიანი დანამატი, კომუნალური გადასახადების მომატება, საბავშვო ბაღების ვაუჩერიზაცია, ბაღს გარეთ რომ არ დარჩენილიყვნენ ბავშვები... კიდევ ძალიან ბევრი, მაგრამ საერთოდ არაფერი არ გაითვალისწინეს. თან ჩვენ ეს შეთავაზება გავაკეთეთ ბიუჯეტის შედგენამდე.

**„ალია" კომენტარისთვის დაუკავშირდა თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ჯაბა სამუშიას:**

– არანაირ გაყალბებას არ აქვს ადგილი თბილისის ბიუჯეტში, დარწმუნებით მინდა ვუთხრა ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს და საზოგადოებას. ასევე მინდა ვუთხრა ჩვენს ოპონენტებს, რომ მცდელობა, რომ საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში, არ გამოუვათ. ყველა სოციალურად დაუცველ ოჯახს გაუორმაგდა, ხოლო დანარჩენ ნაწილს დარჩათ იგივე რაოდენობის ვაუჩერი, რაც დღემდე ჰქონდათ, მაგრამ ერთი რამ არის სიახლე – შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაადგენს იმ ზღვარს, რის მიხედვითაც უნდა გაიცეს აღნიშნული ვაუჩერი. ნებისმიერი მაღალშემოსავლიანი ადამიანი და ადამიანი, რომელსაც არ აქვს შემოსავალი, ვაუჩერს ერთნაირად არ უნდა იღებდეს. ეს იყო არასამართლიანი მიდგომა და უნდა გამოსწორდეს, ვისაც არ სჭირდება ამ სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა, არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ვაუჩერი არის სოციალური პროექტი. დადგინდება ზღვარი და ასე დარეგულირდება ეს საკითხი. ახალი წლიდან გადავალთ ახალ რეგულაციაზე და აბსოლუტურად სამართლიანზე.

**— თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ამ ვაუჩერების განახევრებას აპირებთ...**

– არ შესაბამება სიმართლეს. ცვლილება მხოლოდ იმ სახით მოხდება, რაზეც ზემოთ ვისაუბრე.

**— სოციალური მიმართულებით ჩვენი რეკომენდაციები არ გაითვალისწინესო...**

– გვთავაზობდნენ, რომ 10-ლარიანი დანამატი გაგვეკეთებინა პენსიაზე. ამას გვთავაზობენ ჩვენ, როცა იგივე რამ არსებობდა და თვითონვე გააუქმეს. როცა რეკომენდაციებს გვაწვდიან, იქნებ ცოტა კომპეტენტურად მაინც მოამზადონ. როცა თვითონვე გაუქმეს ეს 10-ლარიანი დანამატი, თან მაშინ, როცა დახმარების არანაირი ალტერნატიული საშუალება არ არსებობდა. მათი რეკომენდაციებით გამოსვლა, მე პოპულისტობად მიმაჩნია.

ის, რასაც აპროტესტებენ, რომ არ დევს ბიუჯეტში, სინამდვილეში არის გათვალისწინებული ბიუჯეტით, მაგრამ ბიუჯეტში ეს კონკრეტული ჩამონათვალი გამორჩათ, ხუთშაბათს შევიკრიბებით და აუცილებლად გავაცნობთ საზოგადოებას დაწვრილებით, რას ვაპირებთ მომავალ წელს.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სააკაშვილი ევროპას აფრთხილებს




საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის განცხადებით, ვლადიმერ პუტინის ბოლო ქმედებები უკრაინაში მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი ახალი თავდასხმისთვის ემზადება.

„TV 24"-სთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა:

„პუტინმა გადადგა კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც აჩვენებს, რომ უკრაინაში ახალი თავდასხმისთვის ემზადება. მან, ერთი მხრივ, გააფორმა გაზის ხელშეკრულება უკრაინასთან და ამით უთხრა ევროპელებს: არ ინერვიულოთ, რაც არ უნდა გავაკეთო უკრაინაში, თქვენს გაზს მიიღებთ. მეორე მხრივ, მისი თვითმფრინავები ატლანტიკის ოკეანის თავზე ფრენენ. ამით კი ეუბნება, რომ, თუ რამეა, დაგბომბავთ ბირთვული იარაღით. ასე რომ, ის ემზადება თავდასხმისთვის არამხოლოდ პოლიტიკურად. მაგალითად, აფხაზეთის გამყოფი ხაზიდან რუსეთმა ტანკები უკრაინაში გადაიყვანა. დღეს ევროპელებს ესმით, რომ ეს არ ეხება მხოლოდ ევროპის უდიდეს ქვეყანას, უკრაინას, ეს ეხება აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის გადარჩენას და მთლიანად ევროპის მომავალს. თუ პუტინი აქ გაიმარჯვებს, ყველა ნახავს, რაც მოხდება. მითუმეტეს ის ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება", – განაცხადა სააკაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ოთახი, სადაც ადვოკატებს პროკურატურაში საქმის მასალების გაცნობა შეეძლოთ



პროკურატურაში ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულების ადვოკატებისთვის გამოყოფილია სპეციალური ოთახი, სადაც მათ 5-ტომიანი საქმის გაცნობა შეეძლოთ.

„30 ოქტომბერს აღკვეთის ღონისძიების განხილვამდე, გამომძიებლის მიერ განხორციელდა სატელეფონო ზარები ბრალდებულების ადვოკატებთან და მიეცათ შესაძლებლობა, მოსულიყვნენ საქართველოს მთავარი პროკურატურის შენობაში და მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში, მშვიდ ვითარებაში სრულად გაცნობოდნენ საქმის მასალებს, რაზეც მათ ასევე დაუსაბუთებლად განაცხადეს უარი და ითხოვდნენ საქმის მასალების გადაცემას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 321-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევა წარმოადგენს დანაშაულს, რისკენაც გვიბიძგებდნენ ადვოკატები, რამეთუ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გადაცემის შემთხვევაში, მათ შენახვის სათანადო პირობები არ ჰქონდათ, რაც ავტომატურად ჩაითვლებოდა პროკურატურის მხრიდან კანონის დარღვევად", – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სააკაშვილის წინააღმდეგ ყველა სასამართლო გადაიდო



საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ყველა სასამართლო გადაიდო. სააკაშვილის ადვოკატის, ოთო კახიძის განმარტებით, აღნიშნული შუამდგომლობა პროკურატურამ დააყენა.

„მათი მოტივი ამ შუამდგომლობისთვის იყო ის, რომ მათ მტკიცებულებებისთვის მეტი ვადა სჭირდებათ“, – განაცხადა კახიძემ.

როგორც ცნობილია, ყველა საქმეზე საგამოძიებო ვადა 2015 წლის იანვრამდე გაიზარდა. მიხეილ სააკაშვილს ბრალი წარდგენილი აქვს 7 ნოემბრის აქციის, სახელმწიფო დაცვის სამსახურის მეშვეობით თანხების არამიზნობრივად ხარჯვისა და ვალერი გელაშვილის ცემის საქმეებზე. (ნიუპოსტი)

## „თავისუფალი დემოკრატებიდან“ ნდობის ჯგუფში ზურაბ აბაშიძე იქნება



ნდობის ჯგუფში „თავისუფალი დემოკრატების“ სახელით ზურაბ აბაშიძე იქნება. რეგლამენტის მიხედვით „თავისუფალ დემოკრატებს“, გამომდინარე იქიდან, რომ უმრავლესობიდან გასვლის შემდეგ პარლამენტის დამოუკიდებელი წევრები არიან, საკუთარი კანდიდატურის ნდობის ჯგუფში წარსადგენად ხელმოწერების შეგროვება მოუწევთ. (ნიუპოსტი)

## ლუდის რეგულარული მოხმარება ამცირებს თირკმლებში კენჭების ფორმირების რისკს

„ვაშინგტონ პოსტის“ თანახმად, ნეფროლოგთა ამერიკული საზოგადოების კლინიკურ ჟურნალში გამოქვეყნებულ კვლევაში შედარებულია გარკვეული სასმელების ზემოქმედების შედეგები ადამიანის ორგანიზმზე თირკმლებში კენჭების ფორმირების თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ შაქრით დამტკბარი უალკოჰოლო სასმელების ყოველდღიურ მოხმარებას შეუძლია თირკმლებში კენჭების წარმოქმნის შესაძლებლობის ზრდა, ხოლო სხვა სასმელებს, როგორებიცაა ყავა და ლუდი, ასეთი რისკის შემცირება.

ადამიანები, რომლებიც დღეში შაქრით დამტკბარ ერთ ან მეტ კოლას მოიხმარენ 23 პროცენტით უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, ვიდრე ისინი, ვინც ამ სასმელს მხოლოდ კვირაში ერთხელ მოიხმარს. ისინი, ვინც ყოველდღე სვამენ ტკბილ გაზიან წყალს კოლას გარეშე 33 პროცენტით უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვიდრე ისინი, ვინც ამ სასმელს კვირაში ერთხელ სვამს.

თუმცა აღმოჩნდა, რომ სხვა გემრიელი სასმელების ყოველდღიური მიღება ყოველკვირეულ მოხმარებასთან შედარებით ამცირებს თირკმლებში კენჭების წარმოქმნის რისკს: რისკი მცირდება 26 პროცენტით კოფეინის შემცველი ყავის, 16 პროცენტით უკოფეინო ყავის, 12 პროცენტით ფორთოხლის წვენის, 11 პროცენტით ჩაის, 31 პროცენტით წითელი ღვინის და 33 პროცენტით თეთრი ღვინის მოხმარების შემთხვევაში.

დაბოლოს, აღმოჩნდა, რომ ლუდი თირკმლებში კენჭების ფორმირების რისკს 41 პროცენტით ამცირებს.



# „ნაბეღლავი“ და „ბახმარო“ უკვე 27 ქვეყანაშია წარმოდგენილი

### ვიქტორია ჭიჭკო: „2015 წლიდან კიდევ უფრო გაიზრდება იმ ქვეყნების სია, სადაც პროდუქციის ექსპორტი განხორციელდება...“

„წყალი მარგებელი“ 1997 წელს დაარსდა და მომხმარებლისთვის საყვარელი და წარმატებული ბრენდის სახელი საკმაოდ სწრაფად დაიმკვიდრა. ამ მნიშვნელოვანი წარმატების შემდგომ კომპანიის დამფუძნებლებმა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ფიქრი დაიწყეს და აქცენტი მასზე გააკეთეს. შედეგად, 2007 წელს შეიქმნა ორი მონათესავე კომპანია – „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ და მისი ნედლეულის ძირითადი მომწოდებელი „მარნეული აგრო“. 2009 წელს კი კომპანიები გაერთიანდნენ ქართულ-შვეიცარიულ „მარგებელი ჰოლდინგში“ და მათ სადისტრიბუციო კომპანია „ენგადი“ დაემატა.

„კომპანიამ საკმაოდ მცირე დროში შეძლო, მოეპოვებინა მომხმარებელთა ლოიალური დამოკიდებულება და მოწინავე პოზიციები ადგილობრივ ბაზარზე. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ჩვენ ვცდილობთ, მომხმარებელს მაღალი ხარისხის პროდუქტი მივაწოდოთ“, – გვესაუბრება კომპანია „წყალი მარგებელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **ვიქტორია ჭიჭკო.**

**— კომპანია „წყალი მარგებელი“ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ისა და „ევროპის მძლეოსნობის 2014 წლის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის“ პლატინის სპონსორია. „ქართული ბიზნესი ქართული სპორტის გვერდით“ — ეს პრინციპი რამდენად წარმოაჩენს ბრენდის სიძლიერეს... ასეთი ტიპის საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობა, ალბათ, კომპანიისთვისაც დიდი პასუხისმგებლობაა?**

– კომპანიის დაარსების დღიდან ჩვენი მთავარი პრინციპი და ერთგვარი მისია ქართველ საზოგადოებასა თუ კერძო სექტორში ჯანსაღი დამოკიდებულების დამკვიდრება და მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობაა, ეს ეხება როგორც ქართულ სპორტს, ისე კულტურას, განათლებასა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობაზე. შესაბამისად, 2015 წლის თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში შესაძლებლობა მოგვეცა ამ დამოკიდებულების წარმოსაჩენად და ჩვენი ხედვის გასაზიარებლად. ერთი მხრივ, ეს ღონისძიება არ შეიძლება მხოლოდ განხილული იყოს სპორტულ ჭრილში, მას საერთაშორისო, ეკონომიკური, პოლიტიკური და თუნდაც სოციო-კულტურული დატვირთვაც აქვს. ქალაქს საშუალება ეძლევა, ჩამოყალიბდეს, როგორც ერთგვარი სპორტული აქტივობების ცენტრი რეგიონში. ამისთვის კი უკვე რამდენიმეწლიანი ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. რაც შეეხება ბიზნესის ჩართულობას მსგავსს პროექტებში, მეტად მნიშვნელოვანია, რომ ყველამ გაიაზროს, ჯანსაღი მომავალი თაობის ბედი სწორედ ჩვენს ხელშია და ყველა მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, ხელი შევუწყოთ პროგრესული იდეების პოპულარიზაციას და აქტიურად დამკვიდრებას. „წყალი მარგებელისთვის“ დიდი პასუხისმგებლობაა, იყოს მსგავსი ღონისძიებების პარტნიორი და ჩვენი მხრივ, მზადყოფნას გამოვთქვამთ მომავალშიც აქტიურად ჩავერთოთ ასეთი სახის მასშტაბურ ინიციატივებში.

**— მატერიალურ დახმარებასთან ერთად, რა მისია ჰქონდა თქვენს ჩართულობას ამ საქმეში?**

– მატერიალური დახმარება მხოლოდ ერთი მხარეა იმ აქტივობებისა, რასაც „წყალი მარგებელი“ ახალგაზრდული ოლიმპიადის ფარგლებში ახორციელებს. ამჟამად აქტიურად ვართ ჩართული ოლიმპიადისთვის მოხალისეების მოძიების და დარეგისტრირების პროცესში. მოვუწოდებთ ყველა ახალგაზრდას, რომ იაქტიურონ, მოხალისედ ჩაეწერონ, რადგან, ერთი მხრივ, ეს მათთვის დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება იქნება, მეორე მხრივ კი, ხელს შეუწყობენ ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების წარმატებით ჩატარებას. ასევე მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩავერთოთ ფესტივალამდე არსებულ ყველა აქტივობაში, რომელიც ხელს შეუწყობს ოლიმპიადის შესახებ მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ ინფორმირებასა და ჩართულობას.

**— „ნაბეღლავი“ Golden Brand-ის რჩეული ბრენდი გახდა, „ბახმაროს“ ხელშეწყობით Geosports.ge-ის თასის მოსაპოვებლად მედიატურნირიც გაიმართა, მოგვიყევით თქვენს წარმატებულ სხვა**




**ღონისძიებებზეც...**

– Golden Brand-ში ის რჩეული ბრენდის სტატუსი უკვე ჩვენი კომპანიისთვის ერთგვარ ტრადიციად იქცა ბოლო წლების განმავლობაში, რასაც დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. ამ შემთხვევაში ხომ სწორედ ადგილობრივი და უცხოელი კომპეტენტური პირების მიხედვით ხდება ჩვენი კომპანიის წარმატებებისა და მიღწევების შეფასება, რაც მომავალში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს პოზიციონირებაზე საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შემთხვევაში. ჩვენი მხრივ კი, ვცდილობთ, წლიდან წლამდე გავაუმჯობესოთ წარმოების ხარისხი და სტანდარტები, რათა მომხმარებელი და შესაბამისად, სხვა კომპეტენტური პირები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მოიხმარენ უახლესი ხარისხის პროდუქციას. წლის განმავლობაში აქტიურად ვიყავით ჩართული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერაში, იქნება ეს კავკასიის ჯაზ-ფესტივალი, არტ გენი, ქართული კულტურის დღეები ცენტრალურ აზიაში თუ სხვა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩვენს პრინციპს, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ქართული კულტურის წარმოჩენას, იქნება ეს ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ.

**— მეორე წელია, პროექტი „განათლებული მომავლისთვის“ ხორციელდება. როგორ შეაფასებდით და 2015 წელს რა არის დაგეგმილი ამ კუთხით?**

– „განათლებული მომავლისთვის“ ჩვენი მეორე მნიშვნელოვანი სოციალური პროექტია, რომლის მეორე წელმაც საკმაოდ წარმატებულად ჩაიარა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მსგავსი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება მომავალში შესამჩნევ ეფექტს გამოიღებს, თუ იარსებებს თანმიმდევრული და აქტიური მიდგომა საკითხისადმი. განსაკუთრებით საჭიროა აქტიურობა რეგიონების მიმართულებით, რათა ყველას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, რომ გამოავლინოს თავისი ცოდნა და, შესაბამისად, შანსი მიეცეს ამ ცოდნის გაღრმავებისთვის. „განათლებული მომავლისთვის“ სწორედ მსგავს პროექტად მიგვაჩნია, პირველ რიგში მიმართული აქტივობა ბავშვების მოტივაციის ამაღლებისკენ, შემდეგ კი უკვე დაუღალავი შრომა წარმატების მისაღწევად. 2014 წელმა ამ მიმართულებით წარმატებით ჩაიარა, გაიზარდა მონაწილეთა რაოდენობა, გაიზარდა გამოცდებზე მიღებული შედეგების საშუალო შედეგი, ბრიტანეთში მიღებული გამოცდილებით კმაყოფილები არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და შესაბამისად, ჩვენც გვიხარია, რომ მსგავსი წამოწყება დაეხმარა ახალგაზრდებს საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებაში. 2015 წლისთვის მზადება უკვე დაწყებულია, მოვუწოდებთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლეებს, დაიწყონ მზადება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადისთვის, გამოავლინონ თავიანთ ცოდნა ინგლისური ენაში, შესაძლებლობა მიეცეთ ბრიტანეთში ამ ცოდნის გაღრმავებისა.

**— „ნაბეღლავისა“ და „ბახმაროს“ ექსპორტი 20-მდე ქვეყანაში ხორციელდება, ხომ არ არის დაგეგმილი სხვა ახალი ქვეყნების ბაზრებზე გასვლაც?**

– 2014 წლისთვის ჩვენ კიდევ უფრო გავზარდეთ იმ ქვეყნების სია, სადაც ვახორციელებთ ჩვენი პროდუქციის ექსპორტს, 2014 წლისთვის ნაბეღლავი და ბახმარო უკვე 27 ქვეყანაშია წარმოდგენილი. გარდა იმისა, რომ ათვისებული გვქონდა პოსტსაბჭოთა და ცენტრალური აზიის ბაზრები, ჩვენი პროდუქციის შეძენა უკვე შესაძლებელია, იტალიაში, აშშ-ში, კანადასა და გერმანიაში. მომავალში იგეგმება საექსპორტო ქსელის უფრო გაფართოება, რადგან რეალურად მრავალ ქვეყანაში არსებობს მოთხოვნა ჩვენს პროდუქციაზე და ვაპირებთ, ამ მხრივაც გავაქტიურდეთ.

**— დაბოლოს, რა გეგმები გაქვთ 2015 წლისთვის?**

– 2015 წლისთვის ჩვენს გუნდს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს, ერთ-ერთ მათგანზე უკვე გესაუბრეთ, მაქსიმალურად ვეცდებით, ჩავერთოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის წარმატებით განხორციელებაში, ასევე აქტიურად ვიქნებით იმ სახის ღონისძიებების მხარდამჭერები, რომლებიც ორიენტირებულები იქნებიან ჯანსაღი იდეების წარმოჩენისკენ, იქნება ეს კულტურაში, განათლებასა თუ სპორტში. რაც შეეხება გეგმებს, რომლებიც ჩვენს პროდუქტებთანაა დაკავშირებული, „ნაბეღლავი“ და „ბახმარო“ დღემდე ყველაზე მაღალი ლოიალურობით სარგებლობს ქართველ მომხმარებელში და მომავალშიც ჩვენი მუდმივი შრომითა და საწარმოო სტანდარტების გაუმჯობესებით, ვეცდებით, შევინარჩუნოთ ეს მიდგომა და პრინციპები. „მარგებელი ჰოლდინგი“ აქტიურად გააგრძელებს ბუნებრივად გამორჩეული, 100 პროცენტით ნატურალური ქართული პროდუქციის წარმოებას ქართული და უცხოური ბაზრისთვის და ვიმედოვნებთ რომ ამაში მომხმარებელი თუ სახელმწიფო შეძლებისდაგვარად დაგვიჭერს მხარს.

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რატომ ასაიდუმლოებს განათლების სამინისტრო ახალ სქემას?

ზოგადი განათლების შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს განათლების კომიტეტმა 18 ნოემბერს მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი, სტატუსების მიხედვით მასწავლებელთა ოთხ კატეგორიად დაყოფის სქემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დღის წესრიგში რჩება, თუმცა ის კანონში ასახული არ არის. კანონში კი ჩაიწერება, რომ განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და კარიერული წინსვლის სქემა სპეციალურ სახელმწიფო კომისიას წარედგინება და შემდეგ მას მთავრობა დაამტკიცებს. სქემაზე თავისი განსხვავებული მოსაზრება აქვს „მასწავლებელთა საკოორდინაციო საბჭოს“ ხელმძღვანელს დავით ფერაძეს.

**რატომ შეუწყდებათ 2015 წლის სექტემბრამდე, მოქმედ პედაგოგებს უფლებამოსილება? რა წერია სქემაში და რა უფლებამოსილება ენიჭება განათლების მინისტრს?**

**„ალიას“ დავით ფერაძე ესაუბრა:**

– სქემის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით მივმართე განათლების სამინისტროს, რადგანაც ესაა საჯარო ინფორმაცია, რომელიც პედაგოგების სელექციებად დაყოფას ეხება. ჩემს მოთხოვნაზე 10 ნოემბერს მივიღე პასუხი, რომ ეს არაა საჯარო ინფორმაცია და, რომ ისინი მოკლებულები არიან შესაძლებლობას, რომ ეს სქემა გასაჯაროვდეს, რომ სქემას მას შემდეგ იხილავს საზოგადოება, როცა ის მიიღებს დასრულებულ სახეს. ამის შემდეგ სხვა გზევნახე, არის შემდეგი და ყველაზე მნიშვნელოვნით დავიწყებ. შრომის ახალი და მოქმედი კოდექსით თურმე პედაგოგები ზედმეტად ყოფილან დაცული და თურმე ეს უნდა გამარტივდეს პედაგოგთა ხელშეკრულების წესით. სქემის მიხედვით, „საქართველოს ზოგადი განათლების კანონის შესახებ“ პუნქტი №8 უნდა შეიცვალოს ჩანაწერით და სანამ ამ ჩანაწერზე გადავალ, მანამდე განვმარტავ, რომ პედაგოგთა მხოლოდ 30% არის სერტიფიცირებული. კანონპროექტში წერია, რომ პედაგოგებს ვადა აქვთ, 2014 წლის ბოლომდე გაიარონ სერტიფიცირება, წინააღმდეგ შემთხვევაში 2015 წელს მათ აღარ აქვთ უფლება, გააგრძელონ მასწავლებლობა და ეს ნიშნავს, რომ 2015 წლის პირველი იანვრიდან არასერტიფიცირებით დავიწყე ძებნა სქემის მოსაპოვებლად და, საბედნიეროდ, ამ სქემის სამუშაო ვერსია ჩავიგდე ხელში.





**— რამდენად სანდოა თქვენეული სქემის სამუშაო ვერსია, ვინ მოგაწოდათ ეგ დოკუმენტი?**

– წყაროს, ბუნებრივია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავასახელებ. თქვენ გულისხმობთ, რომ დოკუმენტი ეგება და ყალბია? არა მგონია, ვიღაც დამჯდარიყო და ჩემთვის 60-გვერდიან ყალბ ეგზემპლარზე დაეკარგა დრო. გარდა ამისა, სხვა არხებიდანაც გამოვიდა ინფორმაცია, რომ ეს ასეა და ამ ვერსიის შემდეგ აეხადა ფარდა, რატომ ასაიდუმლოებს ასე საგულდაგულოდ განათლების სამინისტრო ახალ სქემას. როგორც გახსოვთ ამ ახალ დოკუმენტს ერქვა „პროფესიაში შესვლა“ და კილურაძის მოთხოვნით ეს შეიცვალა ტერმინით „მასწავლებლის საქმიანობის დაწყება“, მეტი არაფერი შეუცვლიათ. აქ ბევრი საინტერესო მომენტია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ბომბი, რაც ჩემი თვალით ბულები უნდა გაეშვათ. ამდენი ხანია ამაზე მიდის ომი და რა ედგა წინ, რომ ეს მუხლი ამოეღოთ კანონიდან? არ ამოიღეს, ხალხო, და ამ ახალი სისტემით, რომელიც კომიტეტმა გადაულოცა მთავრობას, შავით თეთრზე წერია, რომ ეს პუნქტი უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად: „2015-2016 სასწავლო წლების დაწყებამდე ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა ყველა საშტატო ერთეულზე ვაკანსიის გამოცხადება, კონკურსის ჩატარება და მასწავლებელთა მიღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. ეს წესი კი უნდა უნდა აღიწეროს ზემოაღნიშნულ ბრძანებაში“. ეს კი ნიშნავს, რომ 2015 წლის სექტემბრამდე, სანამ სწავლა დაიწყება, მოქმედ პედაგოგებს შეუწყდებათ უფლებამოსილება შრომის კანონთა კოდექსის დარღვევით, რადგანაც ზოგიერთ პედაგოგს უკვე რამდენიმე წლით დადებული აქვს ხელშეკრულება და თუ კანონში ჩაიწერება ეს მუხლი, მაშინ წინააღმდეგობაში მოვდივართ შრომის კანონის კოდექსთან, რადგანაც ყველა მოქმედ პედაგოგს შეუწყდება ხელშეკრულება და სექტემბრიდან თავიდან გამოცხადდება ვაკანსია და უნდა ჩატარდეს კონკურსი. ამ კონკურსში მასწავლებლები კი მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ ან გავლენ და, ან – ვერა, ეს უკვე სხვა საკითხია. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა შრომის კანონთა კოდექსთან თუ მოდის ეს ჩანაწერი წინააღმდეგობაში, მაშინ გამოდის, რომ ეს პუნქტი უკანონოა, ასე არ არის? სქემაში წერია, რომ მინისტრს უნდა მიეცეს უფლება, შეიმუშაოს ბრძანება კონკურსის ჩატარების შესახებ მასწავლებლებთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და გამოდის, რომ კონკურსი ჩატარდება ცენტრალიზებული წესით, როგორ უნდა ჩატარდეს კონკურსი, ამას განსაზღვრავს სამინისტრო და, როგორ ატარებდა სამინისტრო კონკურსებს, ჩვენ ეს შესანიშნავად ვიცით. გარდა ამისა, ვიმეორებ, პედაგოგების უმრავლესობას ხელშეკრულება უკვე დადებული აქვს სკოლებთან რამდენიმეწლიანი ვადით. ანუ ეს ხელშეკრულებაც ირღვევა. გარდა ამისა, ცუდი ის არის, რომ 2015 წლის აგვისტოდან საქართველო აღმოჩნდება მასწავლებლების გარეშე, თუ ეს კანონი ამოქმედდება, რადგანაც ხელშეკრულება ყველას ერთიანად

**„გამოდის, რომ სამინისტრომ უნდა განსაზღვროს სექტემბრიდან, სად გადაანაწილებს ამ მასწავლებლებსაც. კანონში წერია, რომ ვითომ ცენტრალიზაცია სკოლებში დამთავრდაო და მეორე მხრივ, განათლების სისტემაში უარეს ცენტრალიზაციას გვპირდებიან, რადგანაც მასწავლებლების სკოლებში გადანაწილების საკითხსაც კი სამინისტრო გაწყვეტს და მინისტრს ხელში ეს სადავეც ექნება“**

**„ეს ნიშნავს, რომ 2015 წლის სექტემბრამდე, სანამ სწავლა დაიწყება, მოქმედ პედაგოგებს შეუწყდებათ უფლებამოსილება შრომის კანონთა კოდექსის დარღვევით, რადგანაც ზოგიერთ პედაგოგს უკვე რამდენიმე წლით დადებული აქვს ხელშეკრულება და თუ კანონში ჩაიწერება ეს მუხლი, მაშინ მოვდივართ წინააღმდეგობაში შრომის კანონის კოდექსთან, რადგანაც ყველა მოქმედ პედაგოგს შეუწყდება ხელშეკრულება და სექტემბრიდან თავიდან გამოცხადდება ვაკანსია და უნდა ჩატარდეს კონკურსი“**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნდობის ჯგუფი პრემიერს ე.წ. კაბელების საქმეზე მასალების ნაწილობრივ გასაჯაროებას სთხოვს



ჯგუფის წევრები შესაბამისი მოთხოვნით პრემიერ-მინისტრს მიმართავენ. ჯგუფის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ამის მიზეზი არის ის, რომ მასალების ნაწილი ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება. „ნდობის ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მივმართოთ პრემიერს ხელშეკრულებისა და შესაბამისი მასალების ნაწილობრივ განსაიდუმლოების მოთხოვნით. ჩვენ მოწვეული გვყავდა თავდაცვის სამინისტროდან საიდუმლო სამსახურის წარმომადგენელი, რომელთანაც გავიარეთ კონსულტაცია, რა ნაწილის განსაიდუმლოება შეიძლებოდა მომხდარიყო“, – განაცხადა სესიაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „კარსილისა“ და „ფესტალის“ გაყიდვა აიკრძალა

უკრაინაში ბულგარული „სოფარმასა“ და „ბოლგარსკაია რიზა-სევტოპოლისის“ მიერ წარმოებული მედიკამენტი „კარსილი“, ასევე ინდოეთში „ავენტის ფარმა ლიმიტედის“ მიერ წარმოებული „ფესტალი“ გაყიდვიდან ამოიღეს. უკრაინის სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო სამსახურის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ აღნიშნული მედიკამენტები ფალსიფიცირების მკვეთრ ნიშანს ატარებს. „ფალსიფიცირების ნიშნები შეფუთვის ვიზუალურ სხვაობაშია. სააფთიაქო ქსელები და მომხმარებლები განსხვავებას მარტივად მიხვდებიან“, – აცხადებენ უწყებაში. ცნობისთვის, „ფესტალი“ საჭმლის მომნელებელი ფერმენტების შემცველი პრეპარატების ჯგუფის სამკურნალო საშუალებაა, ხოლო „კარსილი“ სამკურნალო საშუალება, რომელიც შეიცავს აქტიურ ნივთიერება სილიმარინს, რომელიც გამოყოფილია მცენარის ბაყაყურას ნაყოფისგან. სილიმარინი ააქტიურებს ცილების და ფოსფოლიპიდების სინთეზს ღვიძლის დაზიანებულ უჯრედებში, ახდენს მათი უჯრედული მემბრანის სტაბილიზაციას, აკავშირებს თავისუფალ რადიკალებს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „რეაგირება იქნება მკაცრი“



სასჯელაღსრულების სამინისტროში ომბუდსმენის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურებიან, სადაც №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრების წამებაზეა საუბარი. მინისტრის პირველი მოადგილის კახი კახიშვილის თქმით:

„12 რიცხვში ხდება შესაძლო დანაშაულზე საუბარი და ჩვენთან შეტყობინება მოდის 19 რიცხვში. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დაზიანების ხარისხის წარმოშობის მექანიზმის დადგენისთვის დროული ექსპერტიზის ჩატარება. ამიტომ გამოძიება გართულებულია და რომ არ იყოს კითხვის ნიშნის ქვეშ, მივიდეთ და ადგილზე გავარკვიოთ ყველაფერი. მინისტრი ამ დროისთვის ამერიკაში იმყოფება, თუმცა ეს საკითხი კონტროლზე ჰყავს აყვანილი. თუ დადგინდა რომ სისტემის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ჰქონდა ადგილი, რეაგირება იქნება ძალიან მკაცრი“, – განაცხადა კახიშვილმა. (ნიუპოსტი)

## ქარელში მაღაზია გაქურდეს

18 ნოემბერს, გვიან ღამით, ქარელში ცენტრალურ ქუჩაზე მაღაზია გაქურდეს. სავაჭრო ობიექტის მეპატრონეს დილით მაღაზია გატეხილი დახვდა. მაღაზიიდან 500 ლარამდე თანხაა წაღებული. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

შეუწყდება, გამოცხადდება კონკურსები, სექტემბერში კი უკვე იწყება სწავლა და თავიდან დაიწყება მასწავლებლების შერჩევა.

**— რით ამართლებენ ასეთ ცვლილებას სამინისტროში?**

– იმ ჩანაწერის მიხედვით, რაც ხელთ მაქვს, იქ წერია, რომ ერთი და იგივე მასწავლებლები რამდენიმე ხნის განმავლობაში მუშაობენ ერთსა და იმავე სკოლაშიო. ეტყობა, ხდება იგივე, როგორც დირექტორებზე მოხდა: დირექტორებმა კი მიიღეს კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ სამინისტრომ როგორც ჩათვალა სწორად, ისე გადაანაწილეს მათთვის საჭირო სკოლებში. გამოდის, რომ სამინისტრომ უნდა განსაზღვროს სექტემბრიდან, სად გადაანაწილებს ამ მასწავლებლებსაც. კანონში წერია, რომ ვითომ ცენტრალიზაცია სკოლებში დამთავრდაო და მეორე მხრივ, განათლების სისტემაში უარეს ცენტრალიზაციას გვპირდებიან, რადგანაც მასწავლებლების სკოლებში გადანაწილების საკითხსაც კი სამინისტრო გაწყვეტს და მინისტრს ხელში ეს სადავეც ექნება. გარდა ამისა, ნახეთ, რა ხდება. ამას წინათ, 300 პედაგოგი დაიბარეს და მათ უთხრეს, ვითომ მასწავლებლებს ხელფასები ეზრდებოდათ. ესეც გაუგებარია, რადგანაც თუკი მასწავლებლების ხელფასები იზრდება 2015 წლის სექტემბრიდან, ეს რომელი მასწავლებლები არიან, ისინი, ვინც ახალ კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას? ანდა დავუშვათ, უკვე მოქმედმა მასწავლებელმა ეს კონკურსი გაიარა, თუ გარკვეული აქტივობები არ იქნა სკოლაში, როგორ უნდა მიენიჭოს მას რაიმე წოდება? სქემაში წერია, რომ იმ მასწავლებლებთან, რომლებიც გავლენ კონკურსში, თურმე სკოლა კიდევ აფორმებს ხელშეკრულებას ერთი წლის ვადით, ანუ ერთი წლის შემდეგ, 2016 წელს, კიდევ ხელახალი კონკურსი უნდა გაიარონ.

**— რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

– მეც ვერ ვარკვევ, რა ხდება. ხომ გეუბნებით, ყველაფერი აქ წერია და იქიდან გესაუბრებით. ისევ ჩანაწერს ვკითხულობ: „ყველა სკოლა ვალდებული იქნება, ვაკანსია გამოაცხადოს". თან რის მიხედვით გაფორმდება ეს ხელშეკრულება, ჯერჯერობით ეს არ ჩანს სქემაში. ვიმეორებ, თუ ამოქმედდება ეს უბედურება, ეს იმას ნიშნავს, რომ აგვისტოში ჩვენ ვიქნებით პედაგოგების გარეშე და ეს კონკურსი მისცემს სამინისტროს შესაძლებლობას, რომ, რაც შეიძლება მეტი პრაქტიკოსი, ანუ დამწყები მასწავლებელი დასაქმდეს სკოლაში. ამ დროს ისინი არ არიან უმაღლესი კატეგორიის, არიან პირველი კატეგორიის მასწავლებლები და სამინისტროს სურს, რომ მხოლოდ ისინი დასაქმდნენ. პრაქტიკოსებს აქვთ უფლება, სამი წლის განმავლობაში დააგროვონ კრედიტები, რათა გადავიდნენ შემდეგ საფეხურზე და მოიმატონ ხელფასი. მაგრამ როცა სექტემბერში გამოცხადდება კონკურსი, ამ მასწავლებლებსაც, დიდი ალბათობით, სკოლებში არ შეუშვებენ, აღარ გაატარებენ კონკურსებს. სამინისტრომ გვითხრა მასწავლებლებს, რომ 2017 წლამდე გაგვეზრდებოდა ხელფასები, მაგრამ ამ ყოველწლიური კონკურსგადაფასებებით გამოდის, რომ ის მასწავლებლები, რომლებსაც უმაღლესი კატეგორია უნდა ჰქონდეს, იქნებიან სკოლებში უმცირესი რაოდენობით და ისინი იქნებიან თითით საჩვენებლები ისევე, როგორც შაშკინს ჰყავდა საგანგებოდ 1000-ლარიანი მასწავლებლები საჩვენებლად. აი, ასეთი რამე ხდება სქემაში, რასაც ესენი მალავენ, თუმცა აქ სხვაც უამრავი სადავო საკითხია: საინტერესოა, როგორ მოხდება კრედიტების დაგროვების სისტემა? როგორ იქნება ყველა ახალ საფეხურზე გადასვლის სისტემა მოწყობილი? ჩემი აზრით, ამ სქემის პრაქტიკულად ამოქმედება არ შეიძლება, მაგრამ თვითონ აქვთ მცდელობა, რომ აამოქმედონ.

**— საბოლოოდ, რისთვის კეთდება ეს ყველაფერი?**

– მათი იდეაფიქსია, რომ ხელფასები პედაგოგებს არ მოემატოთ და ბიუჯეტიდან ნაკლები თანხა დაიხარჯოს განათლებაზე. ვინმეს თუ ჰგონია, რომ თუნდაც ის 40 ლარი მოემატება, რაც იგეგმება მასწავლებლებისთვის, ესეც ბლეფია. ფასები როგორ გაიქცა, ჩვენ კარგად ვხედავთ და ამ ინფლაციის პერიოდში 40 ლარი რა არის, თქვენ თვითონ იცით. ამავე დროს, სქემა მიმართულია იქითკენ, რომ იმ არჩეული პედაგოგებიდანაც, ვინც არ მოეწონება სამინისტროს, ისინიც, რაც შეიძლება ადვილად გაუშვან სამსახურიდან.



**„გამოდის, რომ სამინისტრომ უნდა განსაზღვროს სექტემბრიდან, თუ სად გადაანაწილებს ამ მასწავლებლებსაც. კანონში წერია, რომ ვითომ ცენტრალიზაცია სკოლებში დამთავრდაო და მეორეს მხრივ, განათლების სისტემაში უარესს ცენტრალიზაციას გვპირდებიან, რადგანაც მასწავლებლები სკოლებში გადანაწილების საკითხსაც კი სამინისტრო გაწყვეტს და მინისტრს ხელში ეს სადავეც ექნება"**

**„თუ ამოქმედდება ეს უბედურება, ეს იმას ნიშნავს, რომ აგვისტოში ჩვენ ვიქნებით პედაგოგების გარეშე და ეს კონკურსი მისცემს სამინისტროს შესაძლებლობას, რომ, რაც შეიძლება მეტი პრაქტიკოსი, ანუ დამწყები მასწავლებელი დასაქმდეს სკოლაში. ამ დროს ისინი არ არიან უმაღლესი კატეგორიის, არიან პირველი კატეგორიის მასწავლებლები და სამინისტროს სურს, რომ მხოლოდ ისინი დასაქმდნენ"**

**ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ ვუკავშირდებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ნატა ასათიანს და მოკლედ ვუყალიბებთ დავით ფერაძის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს:**

– იმდენად აბსურდულ ამბებს ამბობს ეს კაცი, რომ კომენტარს ვერ გავაკეთებთ. არ არსებობს ასეთი დოკუმენტი, სადაც ის წერია, რასაც ეს ადამიანი ამბობს. რა სქემა მოიპოვა მან? სად წაიკითხა ასეთი რამ?

**— დავით ფერაძე აცხადებს, რომ მან მოგმართათ და სამინისტროდან გამოითხოვა ზოგადი განათლების შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებების კანონპროექტი და ვერ მიიღო, შემდეგ კი წყაროს მეშვეობით მოიპოვა.**

– რა გავასაიდუმლოეთ? ტყუილია, მას ჩვენთვის არ მოუმართავს. ინფორმაცია კი საჯაროა.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მობილური ოპერატორები ე.წ. გასაღებთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას აფიქსირებენ



მობილური ოპერატორები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია, თუ ე.წ. გასაღები მათ ხელში არ იქნება. კომპანია „მაგთიკომის" იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილის, ირაკლი მჟავანაძის განცხადებით:

„კომპანიისთვის მიუღებელია კომპანიაში გასაღების ქონა. კომპრომისულ ვარიანტად გვეჩვენება ორგასაღებიანი მოდელი, რა დროსაც გასაღებები იარსებებს კომპანიის ფარგლებს მიღმა საჯარო უფლებამოსილების მქონე სტრუქტურებში. კერძო კომპანიების უკან დგანან უცხოელი დამფუძნებლები და ამ პირობებში მაღალი რისკია, რომ არაუფლებამოსილ პირებს ჰქონდეთ შეუზღუდავი წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე, ისევე როგორც ნაკლებად იქნება დაცული ამ უსაფრთხოების საიმედოობა. კერძო კომპანიებს არ გააჩნიათ გამოცდილება აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების პოლიტიკაში, შესაბამისად, დაბალი ალბათობაა ამ ინფორმაციის შენახვის საიმედოობის უზრუნველყოფა", – განაცხადა მჟავანაძემ.

კომპანია „ჯეოსელი" კი მზად არის კანონით განსაზღვრული ე.წ. გასაღების ფლობის ვალდებულება შეასრულოს თუ სახელმწიფო დააკისრებს. კომპანიის იურისტის ლევან გიორგაძის განცხადებით:

„ჯერ არ ვიცით, რა ფორმით იარსებებს ვალდებულებები. თუ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ გასაღები უნდა იყოს მობილური ოპერატორების ხელში, გაწერილი უნდა იყოს, რა ვალდებულებები უნდა გაიაროს კომპანიამ, რომ დაცული იყოს უსაფრთხოების თვალსაზრისით და ასევე ის რეგულაციები, რაც გასაღების ფლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ ეტაპზე ასეთი კონკრეტული რეგულაციები არ არსებობს. ეს მოკლე ვადაში განუხორციელებელია, ამიტომ ვალდებულებების განხორციელებისთვის გონივრული ვადა უნდა დაწესდეს, თუ გასაღები ჩვენს ხელში დარჩება. კანონის მიღების დროს მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ტექნიკური დავალება რა ვადაშია შესრულებადი და ამის მიხედვით, თუ გონივრული ვადები იქნება დადგენილი, კომპანია ამას შეასრულებს", – განაცხადა გიორგაძემ.

კომპანია „ბილაინის" მოსაზრებით კი, ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტის შემუშავების პროცესში არ იყო გათვალისწინებული მობილური ოპერატორების პოზიცია, რის გამოც, რიგი საკითხები დღემდე ბუნდოვანი რჩება.

„განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სატელეფონო კომპანიები არ ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, იმისთვის რომ ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის მართვა საკუთარ თავზე აიღონ", – აცხადებენ კომპანიაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## სასჯელაღსრულების სამინისტროს საგანგებო განცხადება

სასჯელაღსრულების სამინისტროს დეპარტამენტმა პატიმრების წამების ფაქტზე გამოძიება უკვე დაიწყო.

„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცული იყოს ადამიანის უფლებები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ამდენად, სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სრულად იქნება გამოკვლეული მედიით გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სასურველი იქნებოდა, სახალხო დამცველის აპარატს დროულად უზრუნველეყო სამინისტროს ინფორმირება აღნიშნულის შესახებ, რადგან, ინფორმაციის რამდენიმე დღის დაგვიანებით გავრცელებამ შეამცირა შესაძლებლობა, რომ დროულად დანიშნულიყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და დადგენილიყო დაზიანებათა წარმოშობის მექანიზმი და ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური ინსპექციის დასკვნით გამოიკვეთება სასჯელაღსრულების №8 დაწესებულების თანამშრომელთა ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მასალები შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეგზავნება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ უკვე მიმდინარეობს გამოძიება სწორედ აღნიშნული მსჯავრდადებულების მიერ აკრძალული ნივთით სარგებლობის ფაქტზე, სისხლის სამართლის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ცნობისთვის: სახალხო დამცველის ინფორმაციით, №8 დაწესებულებაში ჯაჭვით დაბმული და ნაცემი პატიმრები ნახეს, რომელთაც ძალადობის კვალი აღენიშნებოდათ.

„ორივე დაკავებული სველი ტანსაცმლით იწვა იატაკზე. მ.უ.-ს ხელ-ფეხი ერთმანეთზე სპეციალური ჯაჭვით ჰქონდა მიბმული. ორივე პატიმარს გარეგნულად აღენიშნებოდა ძალადობის კვალი, მათ შორის, სახეზე. მ.უ.-ს შუბლის არეში ჰქონდა ნაკვეთი ჭრილობა, საიდანაც მოსდიოდა სისხლი, ასევე, სხვა მრავლობითი დაზიანებები, ხოლო მ.ფ.-ს მარჯვენა თვალში აღენიშნებოდა სისხლჩაქცევა", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ქართველ „კანონიერ ქურდს" დეპორტაცია ელოდება



ქალაქ კიევის სოლომენსკის რაიონის სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს 51 წლის მოქალაქეს, ე.წ. კანონიერ ქურდ ჯუმბერ გუგავას უკრაინის საზღვრები დაატოვებინონ. დამნაშავეთა სამყაროში მას „ბინოს" მეტსახელით იცნობენ. მას 5 წლის განმავლობაში, უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა. ვიდრე უკრაინული მხარე სასამართლოს დადგენილებას სისრულეში მოიყვანს, გუგავა კიევის არალეგალი მიგრანტების სპეცმიმღებში გადაიყვანეს, სადაც ასევე იმყოფება, ოთხი ქართველი „კანონიერი ქურდი", რომლებიც უკრაინაში გუგავაზე ადრე დააკავეს. ესენი არიან: „რამაზის", „პოლიკარპეს", „გუგასა" და „კუწუს" სახელით ცნობილი „ავტორიტეტები".

უკრაინული მედიის ინფორმაციით, რამდენიმე წლის წინათ, ინტერნეტში გავრცელდა ერთ-ერთ ციხეში გადაღებული ვიდეო, სადაც პატიმარი საკანს ალაგებს. გადაღებული პიროვნება ძალიან ჰგავს ჯუმბერ გუგავას. ამ ფაქტის გამო, მას „ქურდულ სამყაროსთან" თავის მართლება მოუწია. ის ამტკიცებდა, რომ კადრები დამონტაჟებული იყო და ხსენებულ ვიდეოსთან საერთო არაფერი ჰქონდა. ინტერპოლის ანგარიშის მიხედვით, აფხაზეთში დაბადებულ გუგავას „ქურდის" სტატუსი 1986 წელს უკრაინის ქალაქ დონეცკში მიანიჭეს. უკრაინის ტერიტორიაზე ის რამდენიმე ბანდიტურ დაჯგუფებას აკონტროლებდა, რომლებიც საცხოვრებელი ბინებისა და მანქანების გაძარცვით იყვნენ დაკავებული. (ნიუპოსტი)




# აი, ასეთი ხალხის ფასად შეინარჩუნა უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“

## რა დანაშაულებებში იმხილებიან „ოცნებაში“ გადასული „ნაციონალები“

წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას ვინლა ჩივის, „ქართულ ოცნებას“ უკვე იქითკენ მიჰყავს საქმე, რომ ხელისუფლებაში ხალხის დიდი ბრძოლის შედეგად მოშორებულ „ნაციონალებს“ აბრუნებს. ყოფილი „ნაციონალებისგან“ დაკომპლექტებული ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისთვის“ უკვე შეუერთდა კოალიცია „ქართულ ოცნებას“. ამ ფრაქციის თავმჯდომარე გოჩა ენუქიძეა, წევრები – მარიკა ვერულაშვილი, გურამ მისაბიშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, იაშა შერვაშიძე და ანზორ ბოლქვაძე. გოჩა ენუქიძე კი არის ფრაქციის თავმჯდომარე, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მისი რეალური ლიდერი მარიკა ვერულაშვილია. სწორედ ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებთან. კოალიციის წარმომადგენლები დღეს თავს იმართლებენ, ეს ფრაქცია იმიტომ შემოვიერთეთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობა არ დაშლილიყო და ხელისუფლება შეგვენარჩუნებინაო. გასაგებია, მაგრამ ღირს კი ყველაფრის ფასად ხელისუფლების შენარჩუნება?

**„ქართული ოცნება“ იმიტომ აირჩია ხალხმა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღედგინა, დამნაშავე „ნაციონალები“ დაესაჯა და საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ პარტიად შერაცხული კრიმინალთა ბანდა, დამნაშავე ორგანიზაცია გაესამართლებინა. ამ დროს, ვისაც წარსულში საზოგადოება არაერთ დანაშაულში ამხელს, ვინც ყველაზე მედგრად ებრძოდა ხალხის არჩევანს, ან „ნაცმოძრაობას“ აფინანსებდა, სწორედ ის ხალხი შეიერთა კოალიციამ**

„ქართული ოცნება“ იმიტომ აირჩია ხალხმა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღედგინა, დამნაშავე „ნაციონალები“ დაესაჯა და საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ პარტიად შერაცხული კრიმინალთა ბანდა, დამნაშავე ორგანიზაცია გაესამართლებინა. ამ დროს, ვისაც წარსულში საზოგადოება არაერთ დანაშაულში ამხელს, ვინც ყველაზე მედგრად ებრძოდა ხალხის არჩევანს ან „ნაცმოძრაობას“ აფინანსებდა, სწორედ ის ხალხი შეიერთა კოალიციამ. მარიკა ვერულაშვილი „ნაცმოძრაობის“ სათავეებიდან მიხეილ სააკაშვილის გვერდით იდგა, სამჯერ გადეპუტატდა მათი მხარდაჭერით, თავად სააკაშვილის, როგორც პოლიტიკოსის შექმნაში ხომ უზარმაზარი წვლილი მიუძღვის და მისი დღე და მოსწრება, ოპოზიციას ებრძოდა. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგე იყო და ბიძინა ივანიშვილს რუსეთის აგენტობაში ამხელდა, „ქართულ ოცნებას“ კი „კრემლის პარტიას“ უწოდებდა. გურამ მისაბიშვილი სამეგრელოში ახალაიების კლანის საჩინო წარმომადგენელი გახლდათ. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი სამეგრელოში თავად ხელმძღვანელობდა „ქართული ოცნების“ აქტივისტთა რბევა-დაპატიმრებას და ამ დამსახურების გამო იყო, რომ „ნაცებმა“ 2012 წელს, კვლავ სენაკის მაჟორიტარ კანდიდატად გაიყვანეს. გიორგი ფეიქრიშვილი კუდ-ის უფროსის ყოფილი მოადგილის, ვაჟა ლელუაშვილის ნათელ-მირონია. მედიით არაერთხელ გავრცელდა, რომ მან წავკისსა და თბილისის მომდებარე სხვა სოფლებში, ათეულობით ჰექტარი მიწა წაართვა ხალხს და გაუტყდა. წავკისელები დღემდე უპირისპირდებიან ფეიქრიშვილს, სასამართლოშიც უჩივლეს, მაგრამ სამართალი ჯერ ვერ უპოვიათ. გოჩა ენუქიძე ბიზნესიდან მივიდა „ნაცმოძრაობაში“, ის ერთ-ერთი მათგანია, სააკაშვილის „კარის ბიზნესმენს“ რომ ეძახდნენ, „ნაცმოძრაობას“ ხომ აფინანსებდა მისი კომპანიები და ამბობენ, რომ სხვადასხვა დროს, ვანო მერაბიშვილისა და სააკაშვილის, მათი ოჯახის წევრების პირადი ახირებებისთვისაც არაერთხელ გაუღია სოლიდური თანხები. მოკლედ, გოჩა ენუქიძის ფული ერია იმ უბედურებებში, რასაც „ნაცმოძრაობა“ ხალხისა და მაშინდელი ოპოზიციის წინააღმდეგ აკეთებდნენ. ანზორ ბოლქვაძე ხულოს მაჟორიტარი დეპუტატია. 2012 წლის 4 აგვისტოს, ხულოში, სოფელ ბეშუმში სახალხო დღესასწაულზე ბიძინა ივანიშვილი ჩავიდა. „ნაციონალებს“ ივანიშვილისა და მისი თანმხლები ხალხის, „ქართული ოცნების“ წევრების ცემა და დიდი არეულობა ჰქონდათ დაგეგმილი. გავრცელებული ინფორმაციით, ამ საქმის სათავეებთან ანზორ ბოლქვაძეც იყო. თუმცა, მაშინ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ბოლქვაძე ხულოში განსხვავებულ აზრს „ნაციონალური“ შემართებით ებრძოდა და ამიტომაც ორჯერ გახდა ხულოს მაჟორიტარი ამ პარტიიდან. არც იაშა შერვაშიძე აკლებდა ოპოზიციის დევნა-რბევას ხელს ქედის რაიონში, „ნაციონალთა“ ყველა დაკვეთას უსიტყვოდ ასრულება და ისიც ამის გამო მოხვდა პარლამენტში.

აი, დღეს ეს ხალხი დაბრუნდა საპარლამენტო უმრავლესობაში, ამ ხალხმა ქვეყნის მართვაში უნდა მიიღოს მონაწილეობა და „ქართული ოცნების“ სახელით მოძღვროს ხალხი. თქვენ წარმოიდგინეთ, ალბათ, „ნაცმოძრაობასაც“ გაუწევენ ოპონირებას და ისე გალანძღავენ ყოფილ თანაგუნდელებს, წარბი არ შეუტოკდებათ, თითქოს თავად არ იყვნენ მათი დანაშაულების თანამონაწილენი ან დამნაშავეთა მფარველები. აი, ასეთი ხალხის ფასად შეინარჩუნა უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ და მე თუ მკითხავთ, ასეთ უმრავლესობას, სჯობდა, ეს უმრავლესობა დაშლილიყო და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულიყო.

**ეს ხალხი დაბრუნდა საპარლამენტო უმრავლესობაში, ამ ხალხმა ქვეყნის მართვაში უნდა მიიღოს მონაწილეობა და „ქართული ოცნების“ სახელით მოძღვროს ხალხი. თქვენ წარმოიდგინეთ, ალბათ, „ნაცმოძრაობასაც“ გაუწევენ ოპონირებას და ისე გალანძღავენ ყოფილ თანაგუნდელებს, წარბი არ შეუტოკდებათ, თითქოს თავად არ იყვნენ მათი დანაშაულების თანამონაწილენი ან დამნაშავეთა მფარველები. აი, ასეთი ხალხის ფასად შეინარჩუნა უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“**

**დეპორტირებული „ნაციონალების“ ფრაქციის კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ შეერთების შესახებ „ალიას“ ფრაქცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ზვიად კვაჭანტირაძე ესაუბრა:**

**— ბატონო ზვიად, მოკლედ როგორ შეაფასებთ ყოფილი „ნაციონალების“ „ქართულ ოცნებაში“ გადმობარგებას?**

– უკვე 2 წელია, ვთანამშრომლობთ იმ ფრაქციასთან, რომელიც „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა. მათი უმრავლესობაში გაწევრიანების სურვილი და ლტოლვა არ იგრძნობოდა არც ერთი და არ მეორე მხრიდან, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოალიციას 8 წევრი გამოაკლდა, ჩვენ დავდექით იმ პასუხისმგებლობის წინაშე, რომელიც აღებული გვქონდა ქვეყნისა და ამომრჩევლების წინაშე, უნდა შეგვენარჩუნებინა უმრავლესობა და გაგვეგრძელებინა მუშაობა. ეს დეპუტატები უმრავლესობას შემოუერთდნენ. ისინი არ შემოსულან ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“,

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### თარგამაძემ ნდობის ჯგუფის შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვა



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გივი თარგამაძემ პროტესტის ნიშნად ნდობის ჯგუფის სხდომა დატოვა.

ამის მიზეზად დეპუტატმა განმარტა, რომ ის სხდომაში მონაწილეობას საჭიროდ არ თვლის, რადგან აუდიტის უწყება არაობიექტურად მუშაობს.

„სხდომაზე შევთანხმდით მუშაობის პრინციპებზე და თუ ეს პრინციპი დაცული იქნება, მე ნდობის ჯგუფში მონაწილეობას გავაგრძელებ. თუ არ იქნება დაცული, მაშინ ამ ჯგუფის მუშაობას აზრი არ აქვს. ამ შემთხვევაში მე მოვითხოვ, გადამიყვანონ იმ მთავარ ნდობის ჯგუფში, საიდანაც იღებს ინფორმაციებს, ბიძინა ივანიშვილი. იქ ვიმუშავებდი უფრო პროდუქტიულად. იმედი მაქვს, მომავალში ნდობის ჯგუფი პროდუქტიულად იმუშავებს და არა ისე, როგორც პროკურატურის, აუდიტის სამსახურის ან საბოლოოდ ბიძინა ივანიშვილის დანამატი“, – განაცხადა თარგამაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ნაცმოძრაობა“ ღარიბაშვილს ტყუილში ადანაშაულებს



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საქართველოს პრემიერ-მინისტრს ტყუილში ადანაშაულებენ. მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ქუთაისის შემოვლითი გზა, წინა ხელისუფლების დროს დაპროექტდა, დამფინანსებელიც 2012 წლამდე მოიძიეს და მშენებლობაც მაშინ დაიწყო:

„ტყუილია ის, რომ ეს ამ მთავრობის გაკეთებულია, პირიქით, ამ მთავრობას რომ ემუშავა აქტიურად და ემუშავა სწორად, ამ გზის მთელი მონაკვეთი დასრულებული უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ მე შეგახსენებთ: დაპროექტება, შესწავლა, ფულის მოძიება, ტენდერის ჩატარება გაკეთებული იყო 2012 წლამდე, გზის მშენებლობა 2012 წელს დაიწყო, უბრალოდ, ამ მთავრობამ გააკეთა ყველაფერი, რომ ეს გზა დაგვიანებით გახსნილიყო და მხოლოდ ნაწილი გაეხსნა, ამას მოაყოლა ჩვეულებრივი ტრაბახი, ტყუილი, რომელიც, როგორც ჩანს, პრემიერის ცხოვრების წესი გახდა“, – განაცხადა მაჭავარიანმა. (ნიუპოსტი)

### სოფელ დიღმისა და დიდგორის დამაკავშირებელი გზა რამდენიმე დღეში გაიხსნება

თბილისის მერიის ცნობით, სოფელ დიღმისა და დიდგორის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დასრულდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში 4 კილომეტრამდე გზა სრულად მოწესრიგდა. მოეწყო წყლის გამტარი სანიაღვრე სისტემა, რაც ახლად დაგებული გზის დაზიანებას მთლიანად გამორიცხავს. მოიხსნა გრუნტი და მოეწყო საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, რის შემდეგაც დაიგო ასფალტო-ბეტონის ორი ფენა. (ინტერპრესნიუსი)

*მეშვიდე გვერდიდან*

გარკვეულწილად დამოუკიდებლები არიან იდეოლოგიურად, მაგრამ დააფიქსირეს სურვილი, რომ მხარი დაუჭირონ უმრავლესობას და შესაბამისად, ხელისუფლებას მომავალი საქმიანობის გაგრძელებაში. მე ამაში განსაკუთრებულსა და ისეთ რამეს, რაც პოლიტიკაში არ ხდება, ვერ ვხედავ.

**— ეგ ის ხალხია, თქვენ და თქვენი პარტიის წევრები ამდენი ხნის განმავლობაში რომ ებრძოდით, დაამარცხეთ ქართველი ხალხის მხარდაჭერით და „ნაცმოძრაობა“ ახლა ისევ მართვის სადავეებთან მოიყვანეთ? საზოგადოება აღშფოთებულია. თქვენ ხალხს ჰპირდებოდით, მოვალთ მმართველობაში და „ნაციონალებს“ ხელისუფლებას საერთოდ ჩამოვაცილებთო. ეს იყო თქვენი დაპირება და რას აკეთებთ ახლა, უკან ნელ-ნელა აბრუნებთ?**

– ეს ადამიანები არ არიან „ნაციონალები“ დღეისთვის...

**— დღეისთვის არა, მაგრამ ადრე ხომ იყვნენ? „ნაციონალების“ ბნელი საქმეების თანამონაწილენი, მხარდამჭერები, დამფინანსებელი ხომ იყვნენ? მარიკა ვერულაშვილი ვინ იყო? მისი დაუნდობელი ბრძოლა არ გახსოვთ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ?**

– კი, ძალიან მწარედ მახსოვს მარიკა ვერულაშვილის გამოსვლები წინასაარჩევნო კამპანიის დროს. გარკვეულწილად, მისი ეს წარსული რაღაც დისკომფორტს უქმნიდა ყველა ჩვენგანს, უმრავლესობის წევრებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, 2 წლის განმავლობაში ამ ადამიანებმა ძალიან სერიოზულად ითანამშრომლეს და ისინი კრიტიკულად აფასებდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედებებს.

**— ამის შესახებ საზოგადოებამ არაფერი იცის. არც ერთი მათგანი არ გამოსულა, არ მოუნანიებია, „ნაციონალთა“ დანაშაულებრივი საქმიანობა არ დაუგმია, ერთი ბოდიში არ მოუხდიათ ხალხისთვის არც ვერულაშვილსა და არც მაგ ფრაქციის წევრებს.**

– მე მესმის ადამიანურად ეს ყველაფერი, მაგრამ მერწმუნეთ, დღეს არაფერი ისეთი არ ხდება ქართულ პოლიტიკაში, რაც სხვაგან არ მომხდარა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ სიტყვას დაარღვევდნენ და 2016 არჩევნებამდე არ დარჩებოდნენ კოალიციაში.

**— უმრავლესობის ამგვარად შეკოწიწებას, არ სჯობს ვადამდელი არჩევნების დანიშვნა? ყველას თავის ადგილს მოუჩენს ეს არჩევნები და „ნაციონალები“, ეჭვი არ მეპარება, რამდენიმე კაცს ძლივს შეიყვანენ პარლამენტში. ყველა ამბობს, რომ თქვენ საკუთარ სკამებსა და მანდატებს უფრთხილდებით და ამიტომ არ გინდათ ვადამდელი არჩევნები, რადგან კაცმა არ იცის, რომელი თქვენგანი მოხვდება ახალ პარლამენტში.**

– ჩემი პირადი აზრი თუ გინტერესებთ, ნამდვილად ვისურვებდი, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულიყო. ამ არჩევნების შედეგები, რეალურ პოლიტიკურ სურათს ასახავდა. რა თქმა უნდა, ამ საპარლამენტო არჩევნების შედეგად, „ნაციონალების“ შემადგენლობა პარლამენტში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების 4-წლიანი ციკლი იმიტომ არის დადგენილი, რომ ის ვერ ასახავს ყოველწლიურად პოლიტიკურ ცვლილებას ქვეყანაში, რაღაც მდგრადობა უნდა იყოს შენარჩუნებული. ასევე, ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დავდგეთ არჩევნების შედეგების ლეგიტიმურად აღიარების პრობლემის წინაშე, ბევრი დასავლელი პოლიტიკოსისა და ზოგიერთი მეგობარი ქვეყნის თვალშიც კი, რაც ქვეყნისთვის იქნება უკვე გამოუსწორებელი შედეგის მომტანი და ძალიან დიდ ზიანს მოუტანს ქვეყანას. ამიტომ უნდა ავწონ-დავწონოთ გულდინჯად და გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ ქვეყნის მდგრადი განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე.

**„ნამდვილად ვისურვებდი, რომ ჩატარებულიყო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნების შედეგები, რეალურ პოლიტიკურ სურათს ასახავდა. რა თქმა უნდა, ამ საპარლამენტო არჩევნების შედეგად, „ნაციონალების“ შემადგენლობა პარლამენტში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი“**

**— ხალხის მოთხოვნა სწორედ ვადამდელი არჩევნებია. კი, პოლიტიკური მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება და ყოველ წელს არჩევნებს ვერ ჩაატარებ, მაგრამ ახლა განსაკუთრებული შემთხვევაა...**

– ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ხალხის აზრი, პოზიცია და ამას ხალხი არჩევნების დროს აფიქსირებს კონსტიტუციის შესაბამისად. ამიტომ, კონსტიტუციის პატივისცემა გარდაუვალი გადაწყვეტილებაა და აქედან უნდა გამოვიდეთ. ვიმეორებ, პირადად, მომხრე ვარ ვადამდელი არჩევნებისა, მაგრამ იმ ობიექტურ მიზეზებზეც მოგახსენეთ, რის გამოც მისმა ჩატარებამ, შესაძლოა, ბევრი გვავნოს.

**— გამოდის, დასავლეთის აზრს უფრო მეტ ანგარიშს უწევთ, ვიდრე ქართველი ამომრჩევლისას. თუ ასე არ არის, მაშინ სასწრაფოდ რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარდეს, რადგან ეს არის ამომრჩევლის მოთხოვნა, „ნაციონალი“ დეპუტატების სახით დამნაშავეები სხედან პარლამენტში და იმუნიტეტი იცავთ.**

– ჩვენ ანგარიშს ვუწევთ როგორც საგარეო, ასევე საშინაო ფაქტორებს, ყველა იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ქვეყნის განვითარების პროცესზე მოქმედებს. – ისევ უმრავლესობაში გადმოსულ ყოფილ „ნაციონალებს“ დავუბრუნდები. ამ ხალხს კოალიციის საქმეებში ჩახედვის საშუალება მიეცემა, ბევრ საიდუმლოსაც გაიგებენ კოალიციის საქმიანობის, გეგმების შესახებ. ამ ხალხის ნდობა შეიძლება? რა გარანტია გაქვთ, რომ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას „ნაციონალებს“ არ მიაწვდიან? არ მჯერა, რომ ეგენი „ყოფილები“ არიან და გადამწყვეტ მომენტში არ გიღალატებენ, პოლიტიკურ საბოტაჟს არ მოგიწყობენ და ისევ თავიანთ პოლიტიკურ გამზრდელებთან არ გაიქცევიან.



**„ძალიან მწარედ მახსოვს მარიკა ვერულაშვილის გამოსვლები წინასაარჩევნო კამპანიის დროს. გარკვეულწილად, მისი ეს წარსული რაღაც დისკომფორტს უქმნიდა ყველა ჩვენგანს, უმრავლესობის წევრებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, 2 წლის განმავლობაში ამ ადამიანებმა ძალიან სერიოზულად ითანამშრომლეს“**

– მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მარიკა ვერულაშვილს 2 წელია, არანაირი კავშირი არ აქვს „ნაციონალებთან“.

**— მარიკა ვერულაშვილის გარდა, კიდევ 5 ყოფილი „ნაციონალი“ შეიერთეთ. გურამ მისაბიშვილი „ქართული ოცნების“ აქციებს არბევდა სამეგრელოში, თქვენს აქტივისტებს სდევნიდა. იმავეს აკეთებდა გიორგი ფეიქრიშვილი...**

– სხვებს, გულწრფელად გითხრათ, ნაკლებად ვიცნობ. საზოგადოებას ლეგიტიმური და საფუძვლიანი ეჭვები შეიძლება ჰქონდეს მათ მიმართ, მაგრამ აბსოლუტურად ვენდობი ჩემს იმ კოლეგებს, რომელთაც ინფორმაცია აქვთ ამ ადამიანების შესახებ. დანარჩენზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**— დამატებითი იმუნიტეტი მიეცით, დღეს ეს საეჭვო წარსულის ადამიანები ხელისუფლებას წარმოადგენენ — საპარლამენტო უმრავლესობის წევრები არიან.**

– არა, ჩვენ დამატებითი იმუნიტეტი არ მიგვიცია მათთვის, ვისაც ამ ადამიანებისთვის შეკითხვების დასმა უნდა, უპრობლემოდ შეუძლიათ დაუსვან, უმრავლესობის წევრები რადგან არიან, ამაში ხელი არავის შეეშლება. მოგახსენეთ, რომ 2 წელია ამ ფრაქციასთან ვთანამშრომლობთ და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღეთ. აბა, თქვენ რა გერჩიათ, საპარლამენტო უმრავლესობა დაგვეკარგა პარლამენტში და ხელისუფლება ჩამოშლილიყო?

**ამ ხალხს კოალიციის საქმეებში ჩახედვის საშუალება მიეცემა, ბევრ საიდუმლოსაც გაიგებენ კოალიციის საქმიანობის, გეგმების შესახებ. ამ ხალხის ნდობა შეიძლება? რა გარანტის გაქვთ, რომ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას „ნაციონალებს“ არ მიაწვდიან? არ მჯერა, რომ ეგენი „ყოფილები“ არიან და გადამწყვეტ მომენტში არ გიღალატებენ, პოლიტიკურ საბოტაჟს არ მოგიწყობენ და ისევ თავიანთ პოლიტიკურ გამზრდელებთან არ გაიქცევიან**

**— არა, ეგ ნამდვილად არ მინდოდა, რადგან საკონსტიტუციო-სახელისუფლებო გადატრიალების ნიშნები სახეზე იყო. აი, დავუშვათ და „რესპუბლიკელები“ წავიდნენ კოალიციიდან, მერე რა უნდა ქნათ? კიდევ 9 ყოფილ „ნაციონალს“ გადმოიყვანთ და ასე შეინარჩუნებთ უმრავლესობას? ამიტომ გითხარით, ვადამდელი არჩევნებია ჩასატარებელი-მეთქი.**

– მე ვფიქრობ, რომ ასეთი რამ არ მოხდება, ჩვენ და „რესპუბლიკელებს“ გვაქვს მყარი პოლიტიკური შეთანხმება, რომ ერთად ვიქნებით და ეს შეთანხმება განმტკიცდა ბოლოდროინდელი მოვლენების დროს. არა მგონია, ჩვენს უმრავლესობას რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს.

**— ეგეთი „მყარი შეთანხმება“ „თავისუფალ დემოკრატებთანაც“ გქონდათ. მეტიც, 2016 წლის არჩევნებზე თურმე ერთად აპირებდით გამოსვლას, მაგრამ ხომ ნახეთ, რაც გაგიკეთეს?**

– სიტუაცია გვიჩვენებს, რა იქნება, რაღაც რყევებს არ ველოდები, მაგრამ თუ მაგდაგვარი რამ მოხდა, მაშინ ადეკვატურად ვიმოქმედებთ. არ გამოვრიცხავ არაფერს, მათ შორის, არც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს. თუმცა, მე მგონია, რომ უმრავლესობას როგორც მინიმუმ, მომავალ არჩევნებამდე არ ემუქრება ამგვარი საფრთხეები.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთში რკინიგზის შეკეთებას იწყებს



რუსმა სამხედროებმა უკვე დაიწყეს სამშენებლო მასალების მობილიზება აფხაზეთში. არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც რუსეთი ოჩამჩირემდე რკინიგზის შეკეთებას გეგმავს. მასალით დატვირთული დაახლოებით 14-მდე ვაგონი უკვე შემოტანილია, აგრეთვე, 70-მდე მუშახელია შემოყვანილი, რომელთა შორისაც მხოლოდ რუსები არიან. სამუშაოები ორი დღის წინ დაიწყო. წინასწარი ვერსიით, რკინიგზის მშენებლობა ენგურის ხიდამდე გაგრძელდება. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ რამდენიმე ადგილას სათვალთვალო პუნქტი აშენდება. ე.წ. საზღვრებზე მესაზღვრეები იქნებიან რუსები და ამ მოვალეობას აფხაზები არ შეასრულებენ, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კონტრაქტით მსახურობენ რუსეთის არმიაში. მესაზღვრეებს კი რუსი გენერალი კურირებს. წყაროს ცნობით, ენგურის ხიდზე რამდენიმე ასეული ბეტონის ფილაა ჩამოტვირთული, ასევე მომარაგებულია სამშენებლო მასალები. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პარლამენტი, ალბათ, ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის პროექტს დაამტკიცებს“



დეპუტატი შალვა შავგულიძე ელოდება, რომ ფარული მოსმენების გასაღებთან დაკავშირებით პარლამენტში ხმათა უმრავლესობით ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძისა და ირაკლი სესიაშვილის კანონპროექტი გავა, თუმცა, მისივე ვარაუდით, აღნიშნულ პროექტს პრეზიდენტი ვეტოს დაადებს. თავად შალვა შავგულიძე ვახტანგ ხმალაძის ავტორობით მომზადებული პროექტისკენ იხრება.

ხმალაძის პროექტის გათვალისწინებით, ფარულ მოსმენებზე ამოქმედდება ერთგასაღებიანი სისტემა და ეს გასაღები კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ხელში იქნება. კომისიას დაევალება ელექტრონული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვა, რისთვისაც პროექტი კომისიის ფარგლებში სპეციალური სამსახურის შექმნას ითვალისწინებს.

„პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ფარულ მოსმენებზე წვდომის გასაღები არ ჰქონდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ პრინციპს ვახტანგ ხმალაძის მიერ მომზადებული ვარიანტი აკმაყოფილებს და მე მისკენ ვიხრები“, – განაცხადა შავგულიძემ.

ფარულ მოსმენებზე წვდომის გასაღებთან დაკავშირებით, ინიცირებისთვის მზადდება რამდენიმე პროექტი. გედევან ფოფხაძის, ეკა ბესელიას და ირაკლი სესიაშვილის პროექტით, ფარულ მოსმენებზე ამოქმედდება ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა – აქედან ერთი გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროს ექნება, მეორე კი – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

ორგასაღებიანი სისტემის ამოქმედებას ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციათა საკანონმდებლო წინადადება. მათ მიერ პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, ერთი გასაღები ექნება სასამართლოს, მეორე – ელექტრონულ პროვაიდერ კომპანიებს. (ინტერპრესნიუსი)



# რა აქვს სატრაბახო ღარიბაშვილს?

## მიზეზები რის გამოც უმუშევრობა იზრდება

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიუსელში ვიზიტი შეაჯამა და განაცხადა: „ევროკავშირი ერთხმად აღიარებს, რომ საქართველომ შთამბეჭდავი რეფორმები განახორციელა და ძალიან ბევრი მიღწევა აქვს. ჩვენი ევროპელი მეგობრები აფასებენ იმ წარმატებებს, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში მივაღწიეთ. ისინი აღფრთოვანებულები არიან, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის გათვალისწინებით 6%-იანი ზრდა გვაქვს“.

**რით იწონებს თავს პრემიერი? რამდენად რეალურია მისი იმედიანი განწყობა? სად ჰქონდა მთავრობას ყველაზე დიდი ჩავარდნა?**

**„ალია“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, დემურ გიორხელიძეს ესაუბრა:**

**— რა „შთამბეჭდავ რეფორმებზე“ საუბრობს ღარიბაშვილი, რამე რეფორმა გატარდა ეკონომიკის სფეროში და გამოგვეპარა?**

– არ ვიცი, თუ რამე რეფორმა ჩატარდა. ამის თაობაზე არც მე მაქვს ინფორმაცია და არც გამიგია, რომ ეკონომიკაში რაიმე სერიოზული რეფორმა გატარდა. ეს ცალკეული მცდელობები და ღონისძიებები, შეიძლება ცუდი არ იყოს თავისთავად, მაგრამ ის ამ მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას არ იძლევა.

**— რა ცალკეულ ღონისძიებებს გულისხმობთ?**

– ეს არის სოფლის მეურნეობის პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომელიც სულაც არ წარმოადგენს მის რეალურ დაფინანსებას, ეს არის მცირე ბიზნესის დაფინანსების 20-მილიონიანი პროგრამა. ამ ტიპის პროგრამები არ ცვლის არაფერს. საქმე ისაა, რომ სამუშაო ადგილები ვერ იქმნება და ეს არ აისახება ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სამუშაო ადგილები სოციალურ ფონს აუმჯობესებს და ხელშესახებს ხდის ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და არა თავად სოციალური პროგრამები. ის სოციალური პროგრამებიც ცუდი არ არის, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა ამ პროგრამების დროში სტაბილური განხორციელების საშუალებას. თუ ეკონომიკაში სერიოზული ძვრები არ მოხდა, მწირი ბიუჯეტი გადაულახავ პრობლემებს წარმოქმნის.

**— რა გამოდის, პრემიერმა უცხოელებს მცდარი ინფორმაცია მიაწოდა და იმიტომ არის ევროკავშირი აღფრთოვანებული?**

– ვფიქრობ, პრემიერი კი იყო იმედიანად, თავის გამოსვლაში და შეფასებაში, მაგრამ, როცა დადგება ანგარიშების დაყენების დრო, ვფიქრობ, მთავრობას ბევრი არაფერი ექნება სათქმელი. რაღა უნდა იყოს მიღწევა, არ ვიცი, რომელ რეფორმებსა და მიღწევაზე საუბრობს მთავრობა? მძიმე მდგომარეობაში ვართ, ტოტალური უმუშევრობაა, შემოსავლები არ არის, სასიცოცხლო პროდუქტებზე მოთხოვნა აღარ ხდება, რადგან მსყიდველობითი უნარი შემცირდა. ფასები ზევით მიიწევს და ქვეყანაში რაიმე რადიკალურ ცვლილებას ადგილი არ აქვს, თორემ ასეთი მძიმე ვითარება არ იქნებოდა.

**— ომახიანად კი ისაუბრა ღარიბაშვილმა... ისე, არ ეტყობა მთავრობას, რომ სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს. ასე თუ გაგრძელდა, მას ხომ პოლიტიკურადაც გაუჭირდება?**

– ცხადია, გაუჭირდება. ჯერჯერობით ხელისუფლება იმედიანადაა, თუმცა გითხრათ სიმართლე, რისი იმედი აქვს, ვერ ვხვდები, რადგან სიტუაცია არსებითად არ იცვლება. სულს ღაფავს მცირე და საშუალო ბიზნესი, 2 წელია მათი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ეს ის სფეროა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დასაქმება და შემოსავლების გაჩენა, მაგრამ ეს სფერო ხელუხლებელია. სამაგიეროდ, ამ 2 წელიწადში გაიზარდა მსხვილი კომპანიების ბრუნვა. საქმე ისაა, რომ ჩამოვყალიბდით ოლიგარქიულ სახელმწიფოდ. ასეთი პროპორცია, რომ მთლიან შიდა პროდუქტს უმსხვილესი კომპანიები ქმნიდნენ და 6%-ს მცირე და საშუალო ბიზნესი, მსოფლიოში არ არსებობს. მსოფლიოში განვითარებული კი არა, განვითარების გზაზე მყოფი არც ერთი ქვეყანა არ არსებობს, რომელიც ისეთ მდგომარეობაში იყოს, როგორშიც საქართველოშია.

**— ანუ საქართველოში ისევ ოლიგარქების კლუბი ქმნის ეკონომიკას?**

– ასეა, ეს ჯგუფი უკვე ჩამოყალიბებულია, სამწუხაროდ. ეს ის პოლიტიკა არ არის, რომელიც ქვეყანაში სიტუაციას გამოასწორებს. გამოდის, რომ ჩვენ შეგვიძლია გავამსხვილოთ დიდი კომპანიები, სამაგიეროდ, შევეგუოთ იმას, რომ არც სამუშაო ადგილები იქნება, არც შემოსავლები და არც ეკონომიკური ზრდა. 5-6%-ით გაიზრდება, მაგრამ ეს იქნება ის ზრდა, რომელსაც სანახევროდ შეჭამს ინფლაცია და დოვლათი არ შეიქმნება ქვეყანაში. არც არანაირი სერიოზული ძვრა არ იქნება.

**— თქვენ იყავით იმ გუნდში, რომელიც მუშაობდა ქვეყნის განვითარების კონცეფციაზე, რომლის ნაწილიც „ქართულ ოცნებას“ თავის საარჩევნო პროგრამაში უნდა ჩაედო. მაგ კონცეფციითა და გეგმით, წელს რამე პროექტები უნდა დაწყებულიყო, რაც არ განხორციელდა?**

– ერთი წელი ვმუშაობდი ამ კონცეფციაზე და პროგრამა რომ დაწერეს, 15-კაციანი ჯგუფი აიყვანეს, იმუშავეს და დავინახეთ, რაც დაწერეს. ეს იყო წყალწყალა პროგრამა. კონცეფცია ღრმა მეცნიერული და პრაქტიკული დოკუმენტი იყო, რომელიც იგნორირებული იქნა. რა გამოვიდა ამ პროგრამიდან, 2 წლის თავზე, ვხედავთ. ჩვენ გამოვდიოდით იმ უმძიმესი მდგომარეობიდან, რომელიც ქვეყანაშია, არ ფუნქციონირებდა ინსტიტუტები, სახელმწიფო მმართველობა არაეფექტური იყო, სახელმწიფო ინსტიტუტები კი არ მართავდნენ ქვეყანას, გარკვეული კლანური ჯგუფები მართავდნენ. ამ მდგომარეობაში დავწერეთ კონცეფცია, რომელსაც უნდა გაეხსნა ეს მექანიზმები, შეექმნა ეფექტური სახელმწიფო მმართველობა. განვსაზღვრეთ ორი მიმართულება, ინფრასტრუქტურული და ფინანსური ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნებოდა. ამისთვის გავთვალეთ საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკა. ამის მსგავსი დღეს არაფერია, ფუნდამენტურს ვერაფერს ვხედავთ და საერთო შედეგი არ გვაქვს.

**— ამ 2 წლის მანძილზე ყველაზე დიდი ჩავარდნა რა ნაწილში ჰქონდა მთავრობას, რასაც თავი ვერ გაართვა?**

– სამუშაო ადგილები და შემოსავლები, რომელიც არის მთავარი და სასიცოცხლო. ეს ადგილიდან არ დაიძრა.

**— როგორც ვიცით, მთავრობის ეკონომიკურ ბლოკს აქვს ხოლმე ექსპერტებთან შეხვედრები, ხომ არ მიგიციათ რჩევები, რა არის სასწრაფოდ გასაკეთებელი, რა რეფორმებია გასატარებელი, რომ სიტუაცია გამოსწორებისკენ წავიდეს?**

– ასე გიპასუხებთ, ვის ვუთხრა, ვის აქვს პასუხისმგებლობა აღებული ამ ყველაფრის შესრულებაზე? მანახეთ ადამიანი მთავრობაში, რომელიც რეფორმებზეა პასუხისმგებელი. ვინაა ახალი ბენდუქიძე მთავრობაში? ყველასთვის ცნობილია ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ, მაგრამ ცუდად აკეთებდა, თუ კარგად, ის იყო პასუხისმგებელი. ახლა არ არსებობს პასუხისმგებელი პირი და რეფორმებიც გაჩერებულია.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ჩვენ უარი ვთქვით მილიარდიან სასახლეებზე“



პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებით, ხელისუფლების მთავარი საზრუნავი საქართველოს მოსახლეობა და ქვეყნის კეთილდღეობაა.

„ასეულობით მილიონი ლარი იხარჯებოდა სასახლეებსა და კომფორტული ადმინისტრაციული შენობების მშენებლობაზე, ჩვენ ეს ყველაფერი მივმართეთ ჯანდაცვაში, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, წარმოების განვითარებისთვის, გზების მშენებლობისთვის და ზოგადად, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ეს არის ის, რაც განგვასხვავებს წინა მთავრობისგან“, – განაცხადა პრემიერმა. (ნიუპოსტი)

### „მომავალი აჩვენებს, ვასრულებ თუ არა ვინმეს დაკვეთას“

სახელმწიფო აუდიტორი ლაშა თორდია გივი თარგამაძის განცხადებას ეხმაურება, სადაც დეპუტატი ამბობს, რომ თორდია ივანიშვილის დაკვეთებს ასრულებს. მთავარმა აუდიტორმა თარგამაძის განცხადებას იაფფასიანი უწოდა.

„საზოგადოების მომავალი აჩვენებს, ვასრულებ თუ არა ვინმეს დაკვეთას“, – განაცხადა თორდიამ.

მისი თქმით, სახელმწიფო აუდიტორს ხელისუფლება არ ნიშნავს და აღქმა, რომ ის „ქართული ოცნების“ მხარეს წარმოადგენს, არასწორია.

„რატომღაც აღქმული ვარ „ოცნების“ მხარედ, „ოცნების“ პარტიის მხრიდან კი – „ნაციონალების მხარედ“. არ ვაპირებ პოლემიკაში შესვლას. სიმართლეს მხოლოდ საქმით დავამტკიცებ. არ ვაპირებ იაფფასიან შეფასებებზე კომენტარის გაკეთებას“, – განაცხადა თორდიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

### „ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციის თარიღი ოჯახთან კონსულტაციის შემდეგ გაირკვევა“




ჟვანიას გარდაცვალების საქმის პროკურორის რეზო ნადოის განცხადებით, ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციის ჩატარების თარიღი გარდაცვლილის ოჯახთან კონსულტაციის შემდეგ განისაზღვრება. მისი თქმით, ექსჰუმაციის ჩატარება დაკავშირებულია ამჟამად მიმდინარე ექსპერტიზის შედეგებთან.

„ექსჰუმაციის ჩატარება პირდაპირ კავშირშია, იმ ექსპერტიზის შედეგებთან, რომელიც მიმდინარეობს. როგორც კი წინასწარი შედეგები გვეცოდინება, ოჯახთან კონსულტაციის შემდეგ, განვსაზღვრავთ თარიღს“, – განაცხადა ნადოიმ.

ამჟამად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უტარდება 2005 წელს ჟვანიასა და უსუპოვის გვამების ექსპერტიზის დროს მათი შინაგანი ორგანოებიდან აღებულ ნიმუშებს. პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნულ პროცესში საერთაშორისო დონის ექსპერტები მონაწილეობენ. (ინტერპრესნიუსი)

### „ლევან ჩაჩუამ დასკვნა ისე დაწერა, რომ ექსპერტიზა არ ჩაუტარებია“

ზურაბ ჟვანიას ძმის, გოგლა ჟვანიას განცხადებით, მისთვის ექსპერტ ლევან ჩაჩუას გირაოთი განთავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს.

„ლევან ჩაჩუას საქმე გამოყოფილი საქმეა. მას პატიმრობა შეეცვალა გირაოთი. პატიმრობა ჩემთვის მეორეხარისხოვანი საკითხია. ჩემთვის მთავარია მოხდეს ზურას საქმის გამოძიება და დასრულება. რაც შეეხება ჩაჩუას, ეს საქმე იყო გამოყოფილი ძირითადი საქმიდან და მის განთავისუფლებას ჩემთვის პირადად, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს... ექსპერტიზა სხვადასხვა ნაწილისგან შედგება, ხოლო იმ ნაწილში, რაც ჩაჩუამ გააკეთა, მან დასკვნა ისე დაწერა, რომ ექსპერტიზა არ ჩაუტარებია“. (ინტერპრესნიუსი)



ევარი საუკუნის განმავლობაში ვერ გაიგებს საზოგადოება, რას ერჩოდა თორდია შარშან ღარიბაშვილს და წელს ჭიკაიძეს. აქედან გამომდინარე, ყველა დარჩება კმაყოფილი – აი, ბატონებო სამართლიანობა აღდგა, რადგან ყველას ეხება ბატონი თორდიას შენიშვნა და ა.შ. მაგრამ, სად, როგორ განვითარდება მოვლენები, საჯაროდ არ იქნება გამოტანილი და ეს იქნება საუკეთესო გარემო შერჩევითი სამართლის განხორციელებისთვის.

პარალელურ პროცესში იმიტომ ჩაერთო აუდიტის სამსახური, რომ ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულება არ არსებობს? როგორც ცნობილია, პროკურატურამ გამოძიება დაიწყო „დელტაკომის“ განცხადების საფუძველზე, რომელიც მონაწილეობდა ტენდერში, მაგრამ იმ მომსახურებისთვის რაშიც „სილქნეტმა“ 6,5 მილიონი მოითხოვა, „დელტაკომი“ ითხოვდა 10 მილიონს. სად ჩანს აქ კორუფცია? ინფორმაცია და განმარტებები, რომელიც ირაკლი ალასანიასგან მივიღეთ, თუ როგორ და რატომ განხორციელდა თანხის მთლიანად გადახდა, მან საკმაოდ ავტორიტეტული გვარები დაგვისახელა, რომლებიც, აგრეთვე, ამ გზით ახერხებენ საკუთარი ფინანსური საქმიანობის ორგანიზებას, როდესაც წლის ბოლოა და საბიუჯეტო თანხების რომ ყოფილმა და მოქმედმა პრემიერ-მინისტრებმა აგონ ამაზე პასუხი?!

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ჯერ დააკავეს და მერე სასამართლომდე გაათავისუფლეს ადამიანები, ბევრად უფრო სანდოდ გამოიყურებიან, ვიდრე ამ საქმით დაკავებული პროკურატურის თანამშრომლები, თუნდაც იმიტომ, რომ ამ საქმესაც ასაიდუმლოებენ და ცდილობენ, დაადონ გრიფი საიდუმლოებისა, ეს მაშინ, როდესაც ძალიან კარგად გვახსოვს, როგორ ადებდნენ საიდუმლოების გრიფებს ე.წ. ჯაშუშებს, მათ შორის ბიზნესმენებს. აპატიმრებდნენ, უსჯიდნენ, ასაიდუმლოებდნენ და დღემდე წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი ბოროტების გამჟღავნება არ სურს დღევანდელ ხელისუფლებას, იმავე კონტრდაზვერვის დეპარტამენტს, რომელსაც ერთი წელი ხელმძღვანელობდა ბატონი ჯანელიძე. ამიტომ, ერთმანეთთან დაკავშირებული ბევრი თემა, ჩვენს საზოგადოებას მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ერთია პოლიტიკური კოაბიტაცია დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის და მეორეა კრიმინალური კოაბიტაცია, როდესაც დამნაშავე არ ისჯება და სამართლიანობა არ აღდგება.

თუ ვერ ხედავენ ყოფილი და დღევანდელი პრემიერ-მინისტრები რამდენად უსამართლოა

# „საქმე გვაქვს ზურიკელა ადეიშვილის სახელობის პროკურატურასთან“

**მომავალ კვირაში ექსპერტები თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე საკუთარ ხედვას გააცნობენ საზოგადოებას. რა საკითხებზე ისაუბრეს დახურულ შეხვედრაზე, რა ინფორმაციას ეყრდნობოდა ბიძინა ივანიშვილის განცხადება და რატომ ჩაერთო საქმეში აუდიტის სამსახური?**

**ამ საკითხებზე ექსპერტთა კლუბის ხელმძღვანელი, სოსო ცისკარიშვილი ისაუბრებს.**

– ის პროცედურები, რასთანაც გვაქვს საქმე, საუკეთესო თვითლუსტრაციაა დღევანდელი პროკურატურის, როდესაც ადვოკატებს არ ეძლევათ მასალის გაცნობის საშუალება. პროკურატურა ხან რა მიზეზს პოულობს ამისთვის და ხან რას. ეს კი, მიმანიშნებელია იმაზე, რომ ჩვენი პროკურატურა ჯერ კიდევ ზურაბ ადეიშვილის სახელს ატარებს. არანაირი წინსვლა იმასთან დაკავშირებით, რომ თანაბარუფლებიანი იყოს პროკურატურა და ადვოკატურა სასამართლოს წინაშე, ასეთ ვალდებულებას პროკურატურა ვერ ხედავს საკუთარ თავში. მუდმივად სურს, რომ შეჯიბრს უმსაჯოს სწორედ მათთვის სანდო ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე მყოფმა პირმა.

**— როგორია ამ საქმის როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი შემადგენელი ნაწილი?**

– იცით, მარტივად მივედით დასკვნამდე, რა თანმიმდევრობა უნდა იყოს საზოგადოების მოთხოვნილებაში იმისთვის, რომ ყველაფერს დაერქვას თავისი ნამდვილი სახელი. ამჯერად, საზოგადოება უნდა იყოს ერთიანი იმ მოთხოვნაში, რასაც ჰქვია ადვოკატთა უფლება. ადვოკატი სტანდარტულ პირობებში უნდა გაეცნოს იმ ბრალდებას, რომელიც წაყენებულია მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირებისთვის. ეს ჯერჯერობით არ ხდება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მთლად დალაგებულად არ აქვს პროკურატურას საქმე ამ საკითხში.

ამასვე დავუკავშირებდი ჩვენი ყველაზე პატიოსანი კონტროლის პალატის თავმჯდომარის განცხადებას, რომელიც წლების განმავლობაში ადამიანის უფლებებზე თავდასხმის როლს ასრულებდა პარლამენტში, ვგულისხმობ ლაშა თორდიას, რომელიც მაშველის რგოლი გამოდგა დღევანდელი წინდაუხედავი ხელისუფლებისთვის როდესაც მიხვდნენ, რომ მარტო თავდაცვის სამინისტროში არ ხდებოდა ტენდერების გამოცხადება და სახელმწიფო ხარჯების გაღება.

ის, რომ სხვა სამინისტროებშიც და მათ შორის შსს-ში არის გარკვეული გადაცდომები, ახლა ამაზე ვილაპარაკოთ, ეს არის ფასადური სამართლიანობა, რადგან მეც თქვენთან ერთად დავითვლი სისხლის სამართლის რამდენი საქმე აღიძვრება ისე, რომ ადვოკატებს არ ჰქონდეთ მათი გაცნობის უფლება და რამდენად პოლიტიზებული იქნება ესა თუ ის თემა. დიდი ალბათობით, შსს-სთან მიმართებით იმისთანა გრიფი დაედება საიდუმლო თემებს, რომ უახლოესი ნახათვისების ვადა იწურება. ეს მაინც ისეთი ტექნოლოგიაა, რომელსაც არ სჭირდება თეთრისა და შავის ერთმანეთში არევა. მკაფიო ლოგიკას ექვემდებარება ეს ფაქტი და ამიტომაც არის ყოფილი მინისტრისა და მისი პოლიტიკური გუნდის ერთადერთი მოთხოვნა, რომ განსაჯაროვდეს ეს თემა.

საერთოდ, ასეთი საკითხების სამართლებრივი შესწავლა ბუნებრივად მიმაჩნია, მაგრამ ის, როგორც მოქმედებს პროკურატურა, ეს არის შემარცხვენელი ჩვენი ხელისუფლების და სახელმწიფოსი. დროულად თუ არ დავინახეთ ჩვენი ხელისუფლების ქმედებები, როგორ აპირებენ ამ შავი ორმოდან მართლმსაჯულების გამოყვანას, მაშინ ნდობა ხელისუფლებასაც ისეთივე ექნება, როგორიც პროკურატურის მიმართ გააჩნია მოსახლეობას.

იმ შეხვედრაზე, რომელზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, დავრწმუნდით, რომ ყველაფერი მთლად ისე არ იცის ბატონმა ივანიშვილმა, როგორც ამაზე საუბრობდა. არსებობს იმისგან განსხვავებული ინფორმაცია, რასაც ფლობს ბატონი ივანიშვილი. ასეთ ვითარებაში ერთი კითხვა მებადება – საკვებით მოწამლული ჯარისკაცების თემა რატომ უნდა იყოს საფრთხის შემცველი მინისტრისთვის? დავითვალოთ 2013-2014 წლებში ქვეყანაში რამდენი ადამიანი აღმოჩნდა იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენი ჯარისკაცები აღმოჩნდნენ. ახლა, ჩვენც მოვითხოვოთ, პროკურატურა კონკრეტულ გადაწყვეტილებებში, მით უმეტეს პოლიტიკურად ანგაჟირებულ საქმეში, ეს მით უარესი. არ ვაპირებთ პროკურატურასთან ურთიერთობას, თავზე საყრელი აქვთ საქმე, ამიტომ, თუ ჩვენთან საუბარში ერთ საათს დაკარგავენ, ბევრად მეტი საქმე დარჩებათ გამოუძიებელი. ჩვენი პროკურატურის მოქმედების ტემპი იმდენად ნელია, რომ სირცხვილსაც არ გრძნობენ. საუბარია 9-10 წლის წინანდელ დანაშაულზე, რომელსაც იკვლევენ და გარკვეული კალენდარული თარიღის გათვალისწინებით ააქტიურებენ ხოლმე. თავად სასამართლოც დაუსრულებლად იხილავს ერთ და იმავე საქმეს. პროკურატურისა და სასამართლოს ასეთი მავნებლური კოაბიტაციის შედეგია ის, რომ გადის წლები და დახურულ საქმეებზე სასამართლოს საბოლოო სხდომა არ ტარდება.

**— პროკურატურა 2 წლის განმავლობაში არ დაინტერესებულა თავდაცვის სამინისტროს 2011-2012 წლების სახელმწიფო ტენდერებით. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ინტერესდება პროკურატურა ახალაია-შაშკინის პერიოდით? ეს ადასტურებს, რომ პროკურატურის გარკვეული ჯგუფი კოაბიტაციაშია „ნაციონალებთან“?**

– თემა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ზუსტად ასახავს რეალობას. სწორედ ეს არის თემები, რომელიც საფუძველს მაძლევს, ვიფიქრო, რომ დღესაც საქართველოში საქმე გვაქვს ზურიკელა ადეიშვილის სახელობის პროკურატურასთან. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ნდობის ჯგუფმა ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებული მასალები განიხილა



პარლამენტის ნდობის ჯგუფმა ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებული მასალები განიხილა. შესაბამისი ინფორმაცია უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისგან მოისმინეს. შეხვედრას უწყებიდან კავშირგაბმულობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თემურ მირიანაშვილი და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე თენგიზ ნასარიძე ესწრებოდნენ.

„დეტალებზე კომენტარს ვერ გავაკეთებთ. განვიხილეთ ის, რაც წინასწარ იყო ცნობილი, ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებული მასალები“, – განაცხადა ნასარიძემ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ფოთში ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა 2018 წლის ბოლომდე უნდა ამუშავდეს



ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით:

„მთავრობის მიზანია ინვესტორის შერჩევა ფოთში, ზღვის სანაპიროზე, წელიწადში, სულ მცირე, 2 მილიონი ტონა ნედლი ნავთობის გადამუშავების შესაძლებლობის მქონე თანამედროვე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისა და ოპერირებისთვის. ქარხანა ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს 2018 წლის ბოლომდე, მან უნდა აწარმოოს ევრო 5 სტანდარტის ან მისი ეკვივალენტური, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების მსუბუქი და საშუალო დისტილატები და სხვა ნავთობპროდუქტები, რომლის 20 პროცენტი უნდა შესთავაზოს ადგილობრივ ბაზარს. მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულთა არანაკლებ 90 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები უნდა შეადგენდნენ“, – განაცხადა ქუმსიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულმა პირმა 1974 წელს დაბადებულმა ლია ვ.-მ მოქალაქე გელა გ-ს 2013 წელს 6600 ლარის სანაცვლოდ უნივერსიტეტ „ვიტა“-ს ბაკალავრის ყალბი დიპლომი, თსუ-ს მაგისტრატურის გაყალბებული ცნობა და საკვალიფიკაციო კურსების გავლის დამადასტურებელი ყალბი მოწმობა დაუმზადა.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს. სასამართლომ ლია ვ-ს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## „საკაშვილო, შენ რა გითხარი, მე რო კალანდაძე ჭამას მასწავლისო“ — ნინო კალანდაძის ემოციური მოგონება ბენდუქიძის შესახებ



კახა ბენდუქიძის შესახებ ყოფილი ხელისუფლების გუნდის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ნინო კალანდაძე სოციალურ ქსელში ემოციურ ეპიზოდს იხსენებს.

– ერთხელ ქიისთან ვიყავით მწვადებზე. კახაც იყო, მხიარული, როგორც ყოველთვის. მასვე „ებარა“ ჩვენი სულგუნით მომარაგება. სუფრის გაწყობაშიც თავად მონაწილეობდა და თან თეორიას ავითარებდა, რომ ხაჭაპური მწვადის წინ იჭმევაო. მე შევეკამათე, ხაჭაპურის მერე მწვადს რაღა აზრი აქვს, გემოს ვეღარ ჩაატან-თქო. კახამ ცაში აიხედა, ხელები ზევით აიშვირა და „ამოიგმინა“, საკაშვილო, შენ რა გითხარი, მე რო კალანდაძე ჭამას მასწავლისო...

საოცარი იუმორი ჰქონდა... ძალიან დამაკლდება მისი რჩევები, მასთან კამათი, მისი იუმორი და გადამდები, მხიარული სიცილი... – წერს ნინო კალანდაძე.

ambebi.ge

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## არავინ გეცილებათ რობერტ სტურუასა და რეზო ამაშუკელის საქართველოში! — ზუმბა

– არავინ გეცილებათ რობერტ სტურუასა და რეზო ამაშუკელის საქართველოში და არც არასდროს შეგეცილებით! მშვიდობით მოიხმარეთ!!!!!!! უბრალოდ, მივმართავ ვალოდიას და ვალოდიას ტრაკის მოქიცინეთ!

თქვენს პოსტსაბჭოთა იმპერიულ რუსეთს არასდროს გამოუვა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩაყლაპვა!

არა ოკუპაციას! არა ანექსიას!

No Occupation! No Annexation! დიდება გმირებს! დიდება თავისუფლებას!

ვინც ასე არ ფიქრობთ, არ მეთანხმებით და მეგობრებში მყავხართ, თქვენივე ხელით წამშალეთ! დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი!

დამიჯერეთ, ასე აჯობებს, აღარ იწვალებთ! დიდი მადლობა წინასწარ!



„ფიქრო, ბორგავ და ყმუილო,
სისხლად დაღვრილო ტყუილო,
ალვირახსნილო რაობავ,
პაშოლ ტი ვ ჟოპუ, ხუილო!
თვითონ არც იცი, რა გინდა,
დაგთვლია, მგონი, დღენია
ამდენი უსამართლობა
არც არვის არ შერჩენია!
შენ სამარცხვინოდ დაეცი,
სისხლად დაღვრილო ტყუილო,
მთელს პლანეტას ნუ შაეცი!
ნა ხუი, ხუტინ პუილო!“ – წერს ზაზა კორინთელი სოციალურ ქსელში.

newposts.ge

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## „ერთი მოვწიოთ და მერე...“ — ანა მარგველაშვილის საყვარელი სიმღერა მარიხუანაზე

